# საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 20 ივლისი, 2004 წელი. №166 (4895) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი


პრეზიდენტი

## საქართველოში სრულიად ახლებური პოლიცია იქმნება

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში 2004 წლის 19 ივლისს**

საქართველოს პრეზიდენტი გულთბილად მიესალმა საპატრულო პოლიციის 650 ახალ თანამშრომელს და განაცხადა:

– საქართველო პირველი ქვეყანა იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ძველი საბჭოთა არმიის სტანდარტებიდან გადავიდა არმიის მშენებლობის ახალ, დასავლურ სტანდარტებზე და ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, რომელიც, არსებითად, ქმნის ახალ პოლიციას. მე ვიცი, რომ შერჩევა რთული, მაგრამ ძალიან ობიექტური იყო. ეს არის საქართველოში საზოგადოებრივი წესრიგის სწორი აღქმა, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლა და მთავარი ორი პრინციპი: საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანის უფლებების დაცვა. ჩვენ ყველანაირად აღვჭურვავთ პოლიციას, აგვისტოში მივიღებთ 200-ზე მეტ მანქანას. საქართველოს, პოლიციაში დღეს ყველაფერი დანგრეულია. არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვიღებთ ამერიკელ პოლიციელთა უნარ-ჩვევებს, მაგრამ თქვენი ფორმა ძალიან ჰგავს ამერიკელ პოლიციელთა ფორმას.

იხ. მე-2 გვ.

ბოლო აკორდები

## ფესტივალო, გაისმდე!

### ბორჯომში დასრულდა „ხელოვნების ზეიმი“



ლიანა ისაკაძე.



მამუკა ხაზარაძე და შერონ მაილსი (რიჩარდ მაილსის მეუღლე).

ათმა დღემ, რომელმაც მოიცვა ბორჯომის მესამე საერთაშორისო ფესტივალი, „ხელოვნების ზეიმი“, სწრაფად გაირბინა და წინამორბედთა მსგავსად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ათი დღის მანძილზე კომპოზიტორთა სახლის საკონცერტო სცენაზე იდგნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წვეული ვირტუოზი-შემსრულებლები და ხელოვნების თაყვანისმცემლებს დაუვიწყარ საღამოებს ჩუქნიდნენ, თავის მხრივ არც მსმენელი იშურებდა მათთვის სითბოსა და სიყვარულს.

„ხელოვნების ზეიმზე“, მართალია, პრიორიტეტი მუსიკას ეკუთვნოდა, მაგრამ მან სხვა დარგებიც წარმოაჩინა: თეატრი, მხატვრობა, კინოხელოვნება, პოეზია. იმის წარმოსადგენად, თუ რა სიმაღლეზე იდგა საკონცერტო ცხოვრების მუსიკალური დონე, საკმარისია თვალი გადავავლოთ აფიშას, რომელიც შესანიშნავ შემსრულებელთა სახელებს მოიცავს. ფესტივალის სულისჩამდგმელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ლიანა ისაკაძემ რეპერტუარი ისე გაიაზრა, რომ ქართველი მსმენელი მრავალფეროვანი პროგრამის საშუალებით გასცნობოდა სხვადასხვა საშემსრულებლო სკოლებისა თუ სტილური ორიენტაციის მუსიკოსებს.

იხ. მე-8 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:


**რაულ ჩილაჩავას ფენომენი**



სად გაგონილა: ორი დედა, მამული ორი... მე-3-4 გვ.


კონფლიქტის ზონა

## „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სჯობს აანთო ერთი სანთელი, ვიდრე მუდამჟამ სწყევლო სიბნელე...“, რომელშიც აისახა საქველმოქმედო ფონდ „კრედოს“ და საქართველოში რუსეთის თანამემამულეთა საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამართული ერთობლივი კონფერენციის მასალები. ამ პუბლიკაციაში გამორჩენილია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს.**

პერმოდ, თბილისის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართული კონფერენციის მსვლელობისას სადავეები „დაიპყრეს“ საქართველოში რუსეთის თანამემამულეთა საკოორდინაციო ცენტრის (თავმჯდომარე – ვალერი სვარჩუკი) რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. იმის ნაცვლად, რომ საქმიანად განეხილათ ფონდ „კრედოს“ თავკაცის ბესარიონ ხვინთელიანის მოხსენება, აგრესიულად განწყობილი ქალბატონები საქართველოს ხელისუფლებას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ თითქოს, „რუსები საქართველოში მესამე კატეგორიაში არიან გადაყვანილნი“, რომ „რუსული ენა საქართველოში მეხუთეხარისხოვან ენათა რიცხვს მიეკუთვნება“, რომ „რუსული ეროვნების ბავშვები საქართველოში დამცირებული და შეურაცხყოფილნი არიან“ და ა. შ.

იხ. მე-2 გვ.

პოზიცია

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია!

### საქართველოს ოფიცერთა კავშირის განცხადება

საქართველოს ოფიცერთა კავშირი და მისი სამხედრო საბჭო გულდასმით ადევნებს თვალყურს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ოს სეპარატისტთა ყოვლად დაუსაბუთებელი, არაკანონიერი და უსამართლო პრეტენზიები – ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან შეერთების მოთხოვნა, ე. კოკოითის პროვოკაციული და უსაფუძვლო განცხადებები, აგრეთვე ვლ. ჟირინოვსკისა და რუსეთის ზოგიერთი სხვა პოლიტიკური ლიდერის ფაშისტური მოწოდებები აშკარად ეწინააღმდეგებიან რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებას კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოწესრიგების თაობაზე.

პრეზიდენტების ამ შეთანხმებათა ფონზე გაუგებარი და ძალზე საწყენია ოს სეპარატისტებთან აფხაზი და ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკებისა და ბანდიტურ დაჯგუფებათა წარმომადგენლების კავშირი და ურთიერთთანამშრომლობისთვის მზადყოფნა, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია კაზაკთა ერთი ნაწილის სეპარატისტებისადმი დახმარების აშკარა, დაუფარავი მცდელობა.

ჩვენ არ ვაიგივებთ ე. კოკოითისა და მისი მხარდამჭერების აგრესიულ და სეპარატისტულ მისწრაფებებს მთელ ოს ხალხთან, ისევე როგორც ვლ. ჟირინოვსკის მოწოდებები არ მიგვაჩნია რუსი ხალხის პოზიციად. არც კაზაკთა ზოგიერთი ლიდერის სეპარატისტებთან თანადგომა გამოხატავს მთელი შეგნებული კაზაკების მისწრაფებას. ამ უკანასკნელის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს და კავკასიის კაზაკთა ორგანიზაციების ურყევი ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი.

სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ოფიცერთა კავშირი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ განუხრელად უჭერს მხარს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბატონ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ კურსს კონფლიქტის ზონაში მოვლენების მშვიდობიან მოწესრიგებაზე და გმობს ოსი სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერების აგრესიულ მოქმედებებს.

**საქართველოს ოფიცერთა კავშირის სამხედრო საბჭო.**

სხვა გაზეთიდან

## უნდა ვიცოდეთ, ჩვენზე სად რას ამბობენ

რუსული პრესა თან კუდში მისჩანჩალებს მოვლენებს და თანაც ცრუობს, ატყუებს მკითხველს. როცა საკითხი ჩეჩნეთს ეხება, რუსი ჟურნალისტები დასავლეთს ადანაშაულებენ და, დასავლეთი დაინტერესებული რომ იყო ჩეჩნეთში სისხლისღვრის დაბოლოებითო, წერენ, უკვე დიდი ხნის წინათ აიძულებდა მასხადოვს, რომ მოსკოვთან მოლაპარაკებებზე წასულიყო რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის კონცეფციის ჩარჩოებშიო. თვითონ კი ობიექტური სინამდვილის წინააღმდეგ ყველანაირად განაწყობენ სეპარატისტ კოკოევს და არა მარტო მხარს უჭერენ, აქეზებენ კიდეც, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონცეფციის ჩარჩოები დაარღვევინონ. ამ გზას ადგას დღევანდელ რუსული პრესის ძალიან ბევრი ორგანო.

ამიერიდან ვეცდებით, რომ, შეძლებისდაგვარად, ქართველ მკითხველს რუბრიკით – უნდა ვიცოდეთ, ჩვენზე სად რას ამბობენ, დროდადრო გავაცნოთ ჩვენი ჩრდილო მეზობელი ქვეყნის პრესიდან გადმობეჭდილი კორესპონდენციები. ქართველი მკითხველი თავად მიხვდება, რასაც უკაკუნებენ, სამწუხაროდ, კვლავაც იმპერიულად განწყობილი რუსი ჟურნალისტები.

ქვემოთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ბოლო დღეების ორ კორესპონდენციას გთავაზობთ.

იხ. მე-2 გვ.

კონფლიქტის ზონა

## ბზარშეპარული რუსულ-ოსური კავშირი,

### ანუ კონცერტი ფაგოტისა და სეპარატისტთა ორკესტრისათვის

**პირველად სიტყვა „ფაგოტი“ პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქვი და ვიფიქრე, ამ დაძაბულ კონფლიქტურ სიტუაციაში კოკოითი სიმფონიური ორკესტრის ჩამოყალიბების იშტაზე რამ მოიყვანა-მეთქი.**

მერე, როცა სიტუაციაში კარგად გავერკვიე, აღმოჩნდა, რომ ლაპარაკია ამ ორიოდე დღის წინათ ქურთაში ქართულ საგუშაგოზე დაკავებულ სატვირთო ავტომანქანაზე, რომელსაც სასწრაფო წესით ცხინვალიდან ჯავაში (შემდეგ ალბათ, რუსეთში) მაღალი „სინჯის“ სარაკეტო დანადგარები გადაჰქონდა. რაკეტების ამ სახეობას კი „ფაგოტი“ ჰქვია.

რაშია საქმე, ეს „ფაგოტები“ ხომ თავის დროზე რუსეთიდან შემოიტანეს, უკან რაღად მიაქვთ, უვარგისია? როგორ გეკადრებათ, ვარგისია და თანაც როგორი: რომ გაისვრი, ვიდრე რაკეტა მიზანს მიაღწევდეს, მისი ტრაექტორიის შეცვლა სურვილისამებრ შეგიძლია. აი, მისი ღირსება, მაგრამ საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა დამკვირვებლები ამ დღეებში კონფლიქტის ზონაში სწავლობენ, რა სახეობის იარაღი იმალება ხეობის სოფლებში, დაძრწიან თუ არა კვლავინდებურად მოთარეშეები, რით არიან შეიარაღებული, საიდან არიან ჩამოთესლილნი და სხვ.

ქართული სოფლები შეამოწმეს – სრული წესრიგია!

ოსური სოფლები შეამოწმეს – შეიარაღებული ბანდები აღმოაჩინეს. ახლა კიდევ „ფაგოტები“, რომელიც შეიარაღებაში არ უნდა ჰქონდეს არც კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, არც – შუამავალს. მანქანა ქართულმა მხარემ თავის რაკეტებიანად დააპატიმრა და, რუსების გაშმაგებული წინააღმდეგობის მიუხედავად, აჩაბეთში გადაიტანა. მოვიდნენ ახლა დამკვირვებლები და ნახონ, რა „ჯენტლმენებთანაც“ აქვს ქართულ მხარეს საქმე!

დღეს ლიახვის ხეობაში ბავშვმაც კი იცის, რომ ფაგოტი ის „მუსიკალური ინსტრუმენტია“, რომელზეც რუსები და ოსები ხმაშეწყობით უკრავენ.

მაგრამ არცთუ მთლად ხმაშეწყობილად. გუშინ, საღამოსპირზე, ოსურმა მხარემ განაცხადა, რომ ფაგოტები მას არ ეკუთვნის. თავის მხრივ, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილემ გენერალმა პრიახინმა, რომელსაც „კავკასიური მივლინება“ ცხინვალის რეგიონში უვადო ვადით გაუგრძელეს, თქვა, რომ საიდან, როგორ გაჩნდა „ფაგოტები“ იქ, პირველად მესმისო.

აშკარაა, რომ რუსულ-ოსურ კავშირს ბზარი გაუჩნდა...

**გურამ პაპლიაშვილი,**
**„სრ“ მიმომხილველი.**

აქტუალური თემა

## დღე, რომელსაც თორმეტი წელიწადი ველოდით

როგორც ცნობილია, ამ დღეებში ჰააგიდან თბილისში ჩამოვიდა წერილი, რომელშიც ჰააგის სასამართლოს ანალიტიკური ჯგუფი იტყობინება, რომ მან რეკომენდაცია მისცა საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა გენოციდთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრას. ეს წერილი აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა პაატა დავითაიამ მიიღო, რომელმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰააგის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თხოვნით 2003 წლის მარტში, როგორც კერძო პირმა მიმართა, მანვე საერთაშორისო სასამართლოს 1992-93 წლების აფხაზეთის ომში ეთნოწმენდის მამხილებელ ფაქტებთან და დოკუმენტებთან ერთად ზეპირი ჩვენებაც მისცა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილება ევროპის მასშტაბით ჰააგის სასამართლოს იუგოსლავიის გარდა ჯერ არ მიუღია.

შეგახსენებთ, დაახლოებით ერთი წლის წინათ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი აფხაზი სეპარატისტების ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში გასამართლების თაობაზე აქტიურად მსჯელობდა. ერთნი ამ იდეას უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ, მეორენი კი ომის სტატუსთან საქართველოს მიერთების შემდეგ ჰააგაში ქართველი მეომრების გასამართლებას შიშობდნენ, – მესამე, მცირე ნაწილი კი, უმეტესწილად აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები, უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰააგაში ჩივილს მაინც აგრძელებდნენ და იქ ქართველების გენოციდის დამადასტურებელ მასალებს აგზავნიდნენ.

ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ გვითხრა:

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

### რატომ აღარ მიდის აჭარაში პარლამენტის თავმჯდომარე?

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აჭარის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დასწრება გა-



დაიფიქრა. როგორც მან გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, იგი აჭარაში ყოფნის განსაკუთრებულ აუცილებლობას ვერ ხედავს. „მე მოხარული ვარ, რომ აჭარაში კონსტიტუციური სამართლიანობა აღდგა. საქართველოს პრეზიდენტი მიემგზავრება აჭარის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დასასწრებად. იგი სესიას გახსნის და ეს სრულიად საკმარისი იქნება,“ - აღნიშნა ბურჯანაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის გამგზავრება აჭარაში დაგეგმილი იყო. გამგზავრების გადადების მიზეზები კი ჯერჯერობით უცნობია.

### 23 კაცი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხებზე იმსჯელებს

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის შემადგენლობა 23 კაცით განისაზღვრა.

კომისია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხებს ერთობლივად განიხილავს, ამიტომ დეპუტატები მიიჩნევენ, რომ მისი შემადგენლობა 15 კაცზე მეტი უნდა ყოფილიყო და ყველა საპარლამენტო ფრაქციას მეტი დეპუტატის წარდგენის უფლება ჰქონოდა.

ბიუროს გადაწყვეტილებით, 23-კაციან კომისიაში „ნაციონალებს“ 11 წევრი ეყოლებათ. მაჟორიტარებს ოთხი, დამოუკიდებელ მაჟორიტარებს სამი, უფრაქციო დეპუტატებს სამი და „მემარჯვენე ოპოზიციას“ ორი. კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება მომავალ კვირას დასრულდება.

პარლამენტის თავმჯდომარის მითითებით, დაკომპლექტდება კომისიის სათადარიგო შემადგენლობაც და თუ რომელიმე დეპუტატი კომისიის ხუთ სხდომას გააცდენს, იგი ავტომატურად გაირიცხება კომისიიდან და მის ადგილს, დადგენილი კვოტის მიხედვით სათადარიგო შემადგენლობაში მყოფი დეპუტატი დაიკავებს.

### მაია ნადირაძესაც გაუჭირდა

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების დაკომპლექტებაში საქართველოს პრეზიდენტის ჩართვას აპირებს, რადგან თავად საპარლამენტო უმრავლესობა დელეგაციებში შემადგენლობის დამტკიცებაზე ვერ თანხმდება.

„ყველა დეპუტატი ყველა დელეგაციაში ვერ იქნება, მაგრამ მათ ამის უდიდესი სურვილი აქვთ. მირეკავენ და უკმაყოფილონი არიან, რომ სასურველ დელეგაციაში ვერ ხვდებიან,“ – აღნიშნა ნადირაძემ. როგორც მან პარლამენტის ბიუროს სხდომაზე აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა დელეგაციებში კვოტები საპროცედურო საკითხთა კომიტეტს უკვე განსაზღვრული აქვს, უამრავი დეპუტატი დელეგაციებში მოხვედრის სურვილს მაინც გამოთქვამს და არმოხვედრის შემთხვევაში განაწყენებული თავად უმრავლესობის ლიდერზე რჩება.

**ინტერ-პრესი.**

ზაფხულის ფოტოობიექტივი

## რომ ნაკლები ხვედა ახლდეს ბავშვურ სიხალისეს



მარიტა დოდაშვილი აღსაზრდელებთან ერთად.

ზაფხულია, ცხელა. ხეებქვეშ ბელურებივით შეყუჟულან ყმაწვილები, ზოგი რითი ერთობა და ზოგიც რითი. შედარებით უმცროსებში აღმზრდელი ჩამჯდარა, რომელიღაც წიგნს უკითხავს... მზე შუბისტარზეა. ჭრიჭინობელების გნიასი ავსებს იქაურობას. ახლა თბილისში, ჩრდილშიც კი სულისშემხუთავი სიცხეა. წყნეთში სულ სხვაა – საამო სიგრილეა...

ეს წყნეთის ბავშვთა სახლია, რედაქციიდან იქ პირველ დავალებაზე მივდივარ. ყმაწვილებისთვის მყუდროება რომ არ დამერღვია, პირდაპირ შენობისკენ გავეშურე, რათა, ჯერ დირექტორი მანანა წილოსანი მენახა.

იხ. მე-8 გვ.

## ინტერპანორამა



ისრაელელთა ვერტმფრენებმა ღაზას ცეცხლი გაუხსნეს. ამ შეტევამ შეიწირა „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის“ რადიკალური დაჯგუფების მაღალჩინოსანი აქტივისტი აბუ იოსებ ალ-კოკა.



უცნობმა ტერორისტებმა საკუთარი სახლის სიახლოვეს მოკლეს ერაყის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი გენერალური დირექტორი ისამ ჰასემ კადხემი. მას ოპელის მარკის თეთრი ფერის ავტომობილიდან გაუხსნეს ცეცხლი.



ჰოლანდიის ქალაქ ალკმაარის ფოსტის მოსამსახურეს სუნთქვა გაუჭირდა მას შემდეგ, რაც ქუჩაში მდებარე საფოსტო ყუთიდან ტომარაში გადმოყარა გზავნილები. თავი ცუდად იგრძნო მისმა სამმა კოლეგამაც, ვინც ტომარაში ნაპოვნ კონვერტს შეეხო.

⊙ პრეზიდენტი

(პირველი გვერდიდან)

# საქართველოში სრულიად ახლებური პოლიცია იქმნება

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში 2004 წლის 19 ივლისს

მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს: 70 პროცენტი არაყოფილი პოლიციის თანამშრომელია, თუმცა მე ასევე მივესალმები პოლიციიდან პროფესიულ თანამშრომელთა მოსვლას.

ბოლო წლებში ქართულ სამართალდაცვითს პრაქტიკაში დაგროვდა ბევრი უარყოფითი რამ. ეს არ იყო პოლიციელთა ბრალი. ეს იყო ბრალი ჩვენი ხელისუფლებისა, დაწყებული პრეზიდენტიდან, რომელსაც თავი პირველ პოლიციელად მიაჩნდა, და სხვადასხვა დონის მინისტრებისა, რომლებიც თვითონ იყვნენ ჩართული სხვადასხვა საეჭვო ოპერაციებში. დაივიწყეთ ყველაფერი უარყოფითი, დაივიწყეთ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ბოლო წლებში იყო პოლიციაში, დაივიწყეთ ის მეთოდები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, დაივიწყეთ მოქალაქეთა უპრაგონოდ დაკავება, წამლის, იარაღის ჩადება, ფულის გამოძალვა. იცოდეთ, რომ ყველას, ვინც ამას გააკეთებს, დაუნდობლად გავუსწორდებით.

თქვენ ხედავთ ტელევიზიით, როგორ ვუსწორდებით წინა რეჟიმის კორუმპირებული თანამდებობის პირებს. ზოგიერთებს ისინი ეცოდება. მე არ მეცოდებიან, რადგან ამ ხალხმა თავისი კეთილდღეობა ააგო თითოეული გაუბედურებული ადამიანის – რომლებიც აქვე გარშემო ცხოვრობენ – გლდანის მასივში და სხვაგან, მთელ თბილისში და მთელ საქართველოში – ხარჯზე ამ ხალხს ბოლო კაპიკები წაგლიჯეს და ბოლო ლუკმა პირიდან გამოგლიჯეს. თქვენი ოჯახები ჩააყენეს ასეთ მდგომარეობაში. ჩვენ მოგცემთ საშუალებას, რომ, პრაქტიკულად, გამოკვებოთ თქვენი ოჯახები. საპატრულო პოლიციაში ხელფასი 400 ლარი იქნება, მომავალი წლიდან კი დავიწყებთ მის თანდათანობით ზრდას, ყველა თქვენგანი კვებით უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენ დავიწყებთ „ტეკების" გადაკეთებას სასადილოებად, საშხაპეებად, მოვაწყობთ გასახდელებს, იმისათვის, რომ შეგეძლოთ დილით ნორმალურად გამოსვლა, წასვლა სამსახურში, თითოეულს ექნება ინდივიდუალური კარადა, შეგექმნებათ შრომისა და დასვენების პირობები. თქვენ იმიტომ უნდა გქონდეთ შექმნილი ადამიანური პირობები, რომ მოქალაქეებმაც იგრძნონ, რომ თქვენც მათ ადამიანურად ექცევით, რომ თავად არ იყოთ ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებული, როგორც წინა რეჟიმმა ჩააყენა პოლიციელი: ფულს არ უხდიდა და თხოვდა, რომ წესრიგი დაეცვა. რა თქმა უნდა, ასეთი პოლიციელი ყოველთვის მოქალაქეთა ხარჯზე ამოიღებდა ამ თავის ფულს და დაიკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს.

ხალხი თქვენით უნდა ამაყობდეს, თქვენ ბავშვები ღიმილით უნდა გხვდებოდნენ. პოლიციელის, პატრულის დანახვაზე ხალხი უნდა გრძნობდეს, რომ ისინი დაცულები არიან. სხვათა შორის, ჩვენ განვახორციელეთ პროექტი ბათუმსა და ქობულეთში. ბათუმელები და ქობულეთელები მეუბნებიან, რომ ისინი ამაყობენ იმ ადამიანებით, რომელთა მანქა- [illegible]



[illegible] რომ პოლიციაში ქალები მოვიდნენ. ახალ შემადგენლობაში დღეს 15 პროცენტი ქალია. კარგი იქნება, თუ უფრო მეტს მივიღებთ. მთავარი ფიზიკური ძალა კი არ არის, არამედ ის, რომ ჰქონდეს გული და ელემენტარული გამბედაობა. დანარჩენი ყველაფერი მოვა.

და კიდევ მთავარი: ჩვენ, რა თქმა უნდა, გადავდივართ დამნაშავეთა მიმართ მკვეთრ ქმედებაზე. მაგრამ, იცოდეთ, ყველაზე დიდი დანაშაული ამავე დროს არის ადამიანის უფლებების დარღვევა, ადამიანის დამცირება, თუნდაც ყველაზე გაფუჭებული ადამიანის დამცირება და აბუჩად აგდება. ყველაზე დიდი დანაშაულია ადამიანის წამება, როგორი საშინელი ადამიანიც უნდა იყოს იგი. ყველაზე დიდი დანაშაულია უდანაშაულოს ციხეში მოხვედრა და შემდეგ იმ პირობებში დატოვება, როცა მას არაფერი არ ჩაუდენია. ამიტომ, ეს პრობლემა აქვს პრეზიდენტსაც და ეს პრობლემა გაქვთ თქვენც.

თქვენ იცით, რომ გვქონდა შემთხვევები, როცა მშვიდობიანი დემონსტრაციები დაარბიეს ძალის ზედმეტი გამოყენებით. ერთი რამ ყველამ უნდა ვიცოდეთ: ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ვიღაცამ გადაკეტოს გზები, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ვიღაცამ მოახდინოს სახელმწიფო დაწესებულებების პარალიზება. ნამდვილი სპეცნაზელი ყოველთვის შეეცდება გზა გაათავისუფლოს, სახელმწიფო დაწესებულება დაიცვას, მაგრამ, ამავე დროს, ეს უნდა მოხდეს ისეთი ძალის გამოყენებით, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია და არც ერთი გრამით მეტით. ამიტომ, ჩვენ აღვჭურვეთ სპეცნაზი სპე- [illegible]

მეორე: რა თქმა უნდა, მთავარია დამნაშავის დაკავება, რასაც პოლიციელი უნდა აკეთებდეს, მაგრამ ქუჩაში უბრალოდ ადამიანების გაჩერება, რასაც აქამდე პოლიცია აკეთებდა, დაუშვებელია. მე თვითონ არაერთხელ მინახავს: გაუპარსავი, გაბურძგნილი, ვიღაც გაურკვეველი წარმოშობის ადამიანები დანგრეული მანქანებით, რომელთაც შენი მანქანა გვერდზე გადაჰყავთ, გადმოგათრევენ იქიდან, გიტრიალებენ ხელებს, გიტრიალებენ ჯიბეებს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ასეთი რამ საქართველოში უნდა დამთავრდეს. არის კონკრეტული და სერიოზული, დასაბუთებული საფუძველი? – ამ შემთხვევაში ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს ფორმიანმა ადამიანმა, რომელმაც ზუსტად იცის თავისი და დაკავებულის უფლებები, რომელიც დაკავებულს გააცნობს მის უფლებებს და მას არავითარ შემთხვე- [illegible]

სხდებით, განვიხილავთ კონკრეტულ შემთხვევებს და ვიტყვით, თუ რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხოს. ერთი მხრივ, საქართველოში უნდა იყოს კანონის უზენაესობა, მეორე მხრივ, პოლიცია არ უნდა იყოს დამონებული და დაშინებული. პოლიციამ უნდა იცოდეს თავისი უფლებები და ბოლომდე გამოიყენოს. შეშინებულ პოლიციელზე უარესი არაფერია, მაგრამ, ამავე დროს, ეს არ უნდა ხდებოდეს საზოგადოების ხარჯზე. ამიტომ, გთხოვთ, ეს ყველაფერი ერთად გავაკეთოთ, თუ გინდათ, რომ საზოგადოებას უყვარდეთ. საზოგადოებას თქვენი არ უნდა ეშინოდეს. თუ გინდათ, რომ არ ეშინოდეს, ამისათვის მას პატივისცემით უნდა მოეპყრათ. მაგრამ, თუ გინდათ, რომ საზოგადოება პატივს გცემდეთ, მაშინ დამნაშავეს თქვენი ნამდვილად უნდა ეშინოდეს. აი, ეს არის განსხვავება საზოგადოებისა და დამნაშავის შიშს შორის.

[illegible] მო, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციასთან იყვნენ შეკრული. თქვენთან ეს არავის აღარ უნდა გაუვიდეს. თქვენს დახავსებასა და დაჭაობებას ჩვენ აღარ დავუშვებთ.

და, კიდევ ერთი: იცით, რომ საქართველოში პოლიციელთა რაოდენობა ორჯერ შემცირდა, ნახევარი შემადგენლობა სამსახურის გარეშე დარჩა. რა თქმა უნდა, მე ძალიან მაღელვებს ამ ადამიანების ბედი, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ მათ სარჩენი ჰყავთ ოჯახები. მაგრამ, სახელმწიფოს ხარჯზე ამ ოჯახების რჩენა აღარ გამოდის იმიტომ, რომ ასე სახელმწიფო დაგვეშლება. ჩვენ ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ საქართველოში შეიქმნას ისეთი ეკონომიკა, ისეთი ბიზნესი, რომლებიც შექმნიან სამუშაო ადგილებს და მაშინ თითოეული მათგანი დასაქმდება. ბიზნესი იმ შემთხვევაში გვექნება, თუ პოლიციელი წილში არ ჩაუჯდება, თუ რომელიმე რაიონის განყოფილების ან ქვეგანყოფილების უფროსი ჯიხურ-ჯიხურ არ ივლის და არ გამოართმევს ფულს, თუ მინისტრის მოადგილე არ გამოართმევს ფულს.

კიდევ კარგი, საქართველოში დღეს მინისტრები ქრთამს აღარ იღებენ. მაგრამ ქვედა დონეზე კორუფცია ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულია, ამიტომ, იგი თქვენთან ერთად უნდა დავამარცხოთ.

მე მინდა მოგილოცოთ და საქართველოს მივულოცო, რომ მალე, სულ მალე რეალურად იხილავს ახალი სახის ქართულ პოლიციას.

მე მინდა ასევე ვუთხრა ხალხს: დღეს მეტის მოლოდინი საერთოდ არ უნდა გვქონდეს. რა თქმა უნდა, შეცდომები იქნება, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ის პროფესიონალიზმი, რომელიც ყველას სურს, მაგრამ ესეც მოვა. მთავარია წესიერება, პატიოსნება და არ არსებობს, რომ გონიერმა, პატიოსანმა ადამიანმა ვერ ისწავლოს და ვერ აითვისოს ის ქცევები, რომლებიც სჭირდება თანამედროვე პოლიციას.

დღეს ჩვენ საქართველოში ვქმნით სრულიად ახლებურ პოლიციას. საქართველო დღეს აგურ-აგურ შენდება. თქვენი ახალი ძალა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აგური ახალი საქმის მშენებლობაში. ამიტომ უნდა იყოთ გაწვრთნილი და იყოთ ისეთი, რომ ჩვენ ყველა ათი წლის შემდეგაც ვამაყობდეთ თქვენი საქმიანობით.

მინდა გისურვოთ წარმატება. იცოდეთ, რომ მე ვარ თითოეული თქვენგანის გვერდზე მდგომი, თითოეული თქვენგანის მხარდამჭერი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თქვენი თავი იგრძნოთ მართლა პრესტიჟულ და ელიტარულ ძალად, რომელიც არავის დასაცინი არ იქნება და, პირიქით, ყველა დავიკრავთ ტაშს. რომ გამოჩნდებით ქუჩებში, ყველა მიხვდება: აი, ჩვენი დამცველები მოვიდნენ.

ამავე დროს, იცოდეთ, რომ ჩვენ მუდმივად გავაკონტროლებთ პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოსთან ერთად, რომ თქვენი მოქმედება იყოს ზედმიწევნით ზუსტი და სწორი.

მე ვფიქრობ, რომ ახლა გვყავს ძალიან კარგი მინისტრი, ძალიან კარგი ხელმძღვანელობა, ძალიან კარგი რექტორი ამ აკადემიისა, რომელიც, არსებითად, ახალი სახის დაწესებულებაა. თქვენ აქ ხშირად უნდა დაბრუნდეთ და აიმაღლოთ კვალიფიკაცია, რათა მუდმივად იყოთ ფიზიკურ, ინტელექტუალურ, პროფესიულ ფორმაში და, რა თქმა უნდა, წესიერებაზე აღარც მინდა შეხსენება, რადგან ეს ყველას კარგად გვესმის.

დიდი მადლობა, რომ თქვენ არსებობთ. და მე მინდა სხვებსაც მოვუწოდო: სანამ დროა და ადგილებია პოლიციაში, ყველა წესიერი, გამბედავი, ჭკვიანი ადამიანი საქართველოში ჩაეწეროს ახალ ქართულ პოლიციაში, რადგან, არსებითად, ეს არის სრულიად სხვა ძალა. ვისაც გინდათ, რომ საქართველოს ემსახუროთ, მოდით და ჩაეწერეთ: აქ შერჩევა ჩაწყობით არ ხდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ, ფულით დანიშვნა არ ხდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ.

ახლა არის შანსი წესიერი ადამიანებისთვის, მოვიდნენ და აირჩიონ სრულიად ახალი და მიმზიდველი პროფესია.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში წარმოადგინეს საჩვენებელი წვრთნები, ბოროტმოქმედთა დაკავების რამდენიმე სცენა. საჩვენებელი წვრთნები პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა.

⊙ გვეხმაურებიან

## „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"

(პირველი გვერდიდან)

ამით ისინი „კრედოს" ხელმძღვანელებისგან არა მარტო ცრემლებს, არამედ სხვა რამის გამოძალვასაც ცდილობდნენ. სწორედ მათი გამონათქვამების შედეგად კონფერენციაში მონაწილე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მესვეურებს ხელმეორე გამოსვლებში თავის გამართლება და გაღიზიანებულ გამომსვლელთა დაწყნარება დასჭირდათ.

უდავოა, რომ დღეს მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველას უჭირს, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად. მაგრამ, ამავდროულად, ბრმა უნდა იყო, რომ არ შეამჩნიო ის დადებითი ცვლილებები რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, რომელიც ამჟამად შეინიშნება. სხვადასხვა ჯურის პანიკიორებს და პროვოკატორებს, იქნება ეს ქართველი თუ რუსი, არ უნდა მივცეთ ქილიკის მიზეზი, მათ შორის იმ პოლიტიკანებსაც, ვინც ჩვენს ქალაქებს გადაწვით, ქვეყნის ინტერნაციონალური მოსახლეობის განადგურებით ემუქრება. ჩვენ არ ვურჩევთ იმ ქალბატონებს ნიანგის ცრემლების ღვრას. ეტყობა, ბევრმა მათგანმა დაივიწყა, რომ მოსკოვს ცრემლების არ სჯერა... ამავდროულად, „კოორდინატორებს" ვთხოვთ ნუ წუხდებიან საქართველოში რუსული ენის „შევიწროების" თაობაზე. რუსული ენა იყო და იქნება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის მყარი გარანტი. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტიც, – ამას წინათ, მოსკოვში გამართულ რუსული ენისა და ლიტერატურის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილე საქართველოს ბავშვთა დელეგაციამ ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლის და სხვა საპატიო ჯილდო მოიპოვა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დღეს ახალ, საიმედო ეტაპზეა. დასაფუძნებლად მომზადებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის კავშირ „მამულის" მიზანი ორ ერთმორწმუნე ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებისთვის ხელშეწყობა და არა რუსულ-ქართული კონფლიქტის გაღვივება (ამჟამად სამხრეთ ოსეთში) უნდა გახდეს.

**გელარი ბაქრაძე,**
**„საქართველო-რუსეთის მეგობრობის" კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

⊙ უნდა ვიცოდეთ, ჩვენზე სად რას ამბობენ

(პირველი გვერდიდან)

## ცხინვალში თავს იყრიან მოხალისეები

**მიხეილ სააკაშვილმა მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას დაეწყო ომისათვის მზადება. ამის პასუხად სამხრეთ ოსეთისკენ დაიძრა ათასობით შეიარაღებული პირი მთელი ჩრდილოეთ კავკასიიდან.**

**მართალია, ღამით ცხინვალში ისმოდა ავტომატის ჯერი, მაგრამ უკვე დილით იქაურებმა კაფეებს მიაშურეს და მიტინგიც კი გამართეს კონფლიქტის ზონაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ლევ მირონოვის ჩასვლასთან დაკავშირებით.**




თეატრის შესასვლელთან მიკროფონი დადგეს. ძნელი იყო იმის გაგება, თუ რაზე ლაპარაკობდა მიტინგზე გამოსული ერთ-ერთი ოსი მანდილოსანი, რადგან იგი მშობლიურ – ოსურ ენაზე მიმართავდა შეკრებილებს, მაგრამ სიტყვა „ფაშისტები" სულ ცოტა 12-ჯერ მაინც გავიგონე. შეკრებილი ხალხი, რატომღაც, ამ სიტყვის გაგონებაზე ყოველთვის იცინოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, იმას, რაც მიხეილ სააკაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ თქვა – საქართველოში ყოველი სახლი ციხესიმაგრედ უნდა გადავაქციოთ და დიდი ომისთვის უნდა მოვემზადოთო – არც ისე სამხიარულოდ უნდა იყოს საქმე.

სოფელ ფრისის განაპირას მდებარეობს ცხინვალის სასაფლაო. თუ სამხრეთ ოსეთში არსებობს ფრონტის ხაზი, იგი სწორედ აქ გადის. იქვე მახლობლად დგას ადგილობრივ სახალხო მოლაშქრეთა კარავი, ცოტა მოშორებით კი, ჩრდილში რუსი მშვიდობისმყოფელები ისვენებენ.

– აი, იქიდან, – მებრძოლი გვიჩვენებს ფრისიდან დაახლოებით კილომეტრზე მდებარე ნახევრად დანგრეულ შენობას, – ღამ-ღამობით გვესვრიან ხოლმე, დღისით კი სანგრებს აფარებენ თავს. ბინოკლით მართლაც დავინახე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი.

– ქართველია?

– აბა, სხვა ვინ იქნება! თუმცა... – მშვიდობისმყოფელი ჩაფიქრდა. – გულახდილად რომ გითხრათ, ძნელი გასარკვევია, თუ ვინ გვესვრის.

– გაუგებარია, თუ რატომ თხრიან საქართველოს მხრიდან ვიღაცვიღაცეები სანგრებს პირდაპირ სამშვიდობო ძალების მებრძოლების ცხვირწინ.

– ამის შესახებ შერეული საკონტროლო კომისიის წევრებს ჰკითხეს...

ამ კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები. კვირას გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელზეც დასასწრებად ეუთოს მეთვალყურეებიც მიიწვიეს, საუბარი უფრო ლანძღვაგინებას წააგავდა. ბოლოს, რუს მშვიდობისმყოფელთა მეთაურმა გენერალმა სვიატოსლავ ნაბზდოროვმა (სხვათა შორის, იგი ეროვნებით ბელორუსია), ველარ მოითმინა და დატოვა სათათბირო ოთახი.

– აბა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ, თუ თვით ეუთოს მეთვალყურეებიც კი „ვერ ამჩნევენ" შეიარაღებულ ბანდებს, რომლებსაც ვდევნით აქედან, – გაგვიზიარეს თავიანთი აზრი კომისიის წევრებმა. – საპყრობილეებში კი მოთარეშეები აღიარებენ, რომ სწორედ ეუთო უხდიდა მათ ას-ას დოლარს.

სამხრეთ ოსეთში ახლა მარტო შეიარაღებული ქართველები როდი გროვდებიან. პრეზიდენტ კოკოითის დასახმარებლად იქ უკვე ჩავიდა ორი ათასი მოხალისე დნესტრისპირეთიდან და აფხაზეთიდან, აგრეთვე მოიყარეს თავი კაზაკებმა და ყარაჩაელებმა. კიდევ სამი ათასს კაცს ელიან. ცხინვალის სასტუმრო ხალხით არის სავსე, მოხალისეები კი განაგრძობენ იქ ჩასვლას...

## პუტინის საჩუქარი კონტრაბანდად მიიჩნიეს

**ქართველმა მებაჟეებმა არ შეუშვეს რუსეთის ჰუმანიტარული დახმარება სამხრეთ ოსეთის სოფლებში.**

ჰუმანიტარული ფქვილით დატვირთულ ხუთ „კამაზს", რომლებიც რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ სამხრეთ ოსეთში, ცხინვალში გაგზავნა, „პუტინის საჩუქარი" უწოდეს, ამას მოწმობდა მანქანებზე გაკრული უზარმაზარი ტრანსფარანტები. ავტოკოლონა, რომელსაც მშვიდობისმყოფლები მიაცილებდნენ, ბლოკადაში მოქცეული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სოფლებში უნდა ჩასულიყო. გზა კი ქართულ ტერიტორიებზე გადიოდა და პირველივე საგუშაგოზე, სოფელ ერგნეთთან, სამხედროები უსიამოვნებას გადააწყდნენ. როგორც კი პირველმა ორმა „კამაზმა" გადაკვეთა საზღვარი, ქართველი მებაჟეები ჩაერივნენ საქმეში. მათ შეაჩერეს ჰუმანიტარული ტვირთი, გულდასმით შეამოწმეს და მებაჟეთა ვაგონში მიიწვიეს სასაუბროდ სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი.

თუმცა, მეტი რომ არ ვთქვათ, საუბარი ვერ შედგა. ქართული მხარე მოითხოვდა დოკუმენტების წარმოდგენას, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ტვირთი მართლაც ჰუმანიტარული დახმარება იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ითხოვდნენ გადაეხადათ ბაჟი პუტინის საჩუქრის გატარებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ტვირთი კონტრაბანდად მიიჩნიეს.

– რა დოკუმენტები სჭირდებათ?

– ვერ მალავდა გაღიზიანებას სიცხისა და აღშფოთებისგან აჭარხლებული გენერალი.

მაგრამ გორის რაიონის გუბერნატორს მიხეილ ქარელს სურდა ენახა რუსეთისა და საქართველოს მთავრობათა მეთაურების შეთანხმება, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებში ტვირთის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთები. ასეთი კამათი ოთხ საათს გაგრძელდა, საგუშაგოსთან კი თავი მოიყარეს სტიქიურად გამართული მიტინგის მონაწილეებმა.

– ნებისმიერი ტვირთი, რომელიც შემოდის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გაფორმებული უნდა იყოს, – განგვიმარტა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ, – ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. გააფორმოს რუსეთის მხარემ ყველა საჭირო დოკუმენტი და სადაც უნდა იქ წაიღოს ფქვილი.

თუმცა, ნაბზდოროვი კოლონის უკან გაბრუნებას არ აპირებდა.

– მართალია, ეს საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ ეს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაა, – მიაჩნია გენერალს, – იქ მშიერი ხალხია! სპეციალური შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი ჩვენ თან გვაქვს.

ნაბზდოროვმა განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნებოდა, ღამესაც კი გაათევდა და იქ დარჩებოდა მანამ, სანამ კოლონას არ გაუშვებდნენ.

## ამ დროს კი

სადღაც, საღამოს ექვსი საათისთვის, სოფელ ერგნეთის იმავე საგუშაგოზე კინაღამ ატყდა სროლა. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც ცხინვალიდან მოდიოდნენ, ქართულმა პოლიციამ გააჩერა. ისინი განაიარაღეს. პოლიციელებმა ოსური მხარის წარმომადგენლები წაიყვანეს გორში დაკითხვისა და საქმის შემდგომი გარჩევისათვის.

### როცა ნომერი დასაბეჭდად მზად იყო

**მიხეილ სააკაშვილმა ახალი განცხადება გააკეთა. დაიმუქრა, რომ გაანადგურებს სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროებისთვის ჩამორთმეულ უმართავ რაკეტებს.**

„კომსომოლსკაია პრავდა",
2004 წლის ივლისი.

**სურათზე: ქართულ საბაჟოზე არ გაატარეს ტვირთი იმის მიუხედავადაც კი, რომ მანქანაზე დამაგრებულ ტრანსფარანტს პუტინის გვარი ამშვენებდა.**

„კომსომოლსკაია პრავდა",
2004 წლის ივლისი.

⊙ აქტუალური თემა

# დღე, რომელსაც თორმეტი წელიწადი ველოდით

(პირველი გვერდიდან)

– აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ყოველთვის იყო და არის დაინტერესებული იმით, რომ პასუხი აგებინოს ყველა იმ პირს, ვისაც აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ეთნოწმენდასა და ქართველების გენოციდში მიუძღვის ბრალი. თავის დროზე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შესაბამისი კომისია შეიქმნა, რომელმაც დაამუშავა გენოციდის საკითხები, მოიპოვა დოკუმენტაცია და დაავალა აფხაზეთის მაშინდელი იუსტიციის მინისტრს პაატა დავითაიას, ამ მიმართულებით მუშაობა გაეგრძელებინა. ინიციატორი, ანუ, შემომტანი ამ საკითხისა გახლდათ ბატონი თამაზ ნადარეიშვილი. ასე რომ, ჰააგის პროცესზე აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდისა და გენოციდის საკითხის განხილვას ჩვენ თავიდანვე უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებდით. მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, რომ მან უნდა დაახასიათოს, თუ, რა როგორ მოხდა, თუ როგორ განხორციელდა აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჩამოყალიბება და სხვა.

**– ბატონო თემურ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ყველაფერი მარტო პაატა დავითაიამ გააკეთა. მან, ასე ვთქვათ, „რკინის ქალამნები" ჩაიცვა და ჰააგის სასამართლოში ყველა საჭირო დოკუმენტაციით პირადად, როგორც კერძო პირი, წარსდგა.**

– ყოველივე ამას კერძო პირის ინიციატივა პირობითად შეიძლება დავარქვათ. თუკი ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა პაატა დავითაიას მოსწერა წერილი, ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორმა კავშირი ერთ ადრესატთან განაახლა. მე არ მინდა ბატონ პაატას შრომა დავუკარგო, ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო თავად განახორციელა, მაგრამ ვფიქრობ, რომ როცა იგი პირად დაინტერესებას და ინიციატივას ხაზს უსვამს, ამით გარკვეულ მომენტებს, ალბათ, იგნორირებას უკეთებს, ან აზვიადებს პირად დამსახურებას. ვიმეორებ, ეს საკითხი აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში წამოიჭრა და აქედან განვითარდა. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე ეს მუშაობა შეჩერდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მაშინდელმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ საკითხის მიმართ დაინტერესება არ გამოიჩინა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავარი ის კი არ არის, ვისი ინიციატივით კეთდება საქმე, არამედ ის,


თემურ მჟავია.

თუ როგორ გამოიყენებს ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ მოგვეცა შანსი იმისა, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით სიტუაცია მნიშვნელოვნად შეტრიალდეს.

ყველა დოკუმენტში, რომელსაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მესვეურები ნორმატიული დოკუმენტის შინაარს ანიჭებენ, ერთა თვითგამორკვევის შესახებ აღნიშნავენ. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ არანაირი კავშირი აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ერთა თვითგამორკვევასთან არა აქვს, ეს არის პრაქტიკულად რუსეთ-საქართველოს ომის შედეგი, ომისა, სადაც გამარჯვების გვირგვინი რუსეთმა აფხაზეთს „დაადგა". ასე მივიღეთ „დამოუკიდებელი" აფხაზეთი. ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, განსაკუთრებით ევროპაში ერთა თვითგამორკვევის პრინციპს დიდ ყურადღებას უთმობენ. ჰააგის ტრიბუნალი ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. მსოფლიო დაინახავს, თუ რა პროცესების პროდუქტია აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შექმნა. ამ პროცესებში შესაძლოა გარკვეული გარღვევაც დავინახოთ. ასე რომ, ამ მიმართებით ჩვენი მუშაობა (სახელმწიფო მაქვს მხედველობაში) მეტად საშური და მნიშვნელოვანია.

**– ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, გენოციდში რუსეთის ფედერაციის მხილება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გარკვეულ დისონანსს ხომ არ შეიტანს?**

– არა მგონია, გენოციდში ვინმემ რუსეთის ფედერაცია დაადანაშაულოს. თუკი საკითხი ამ შინაარსით დადგა, რუსეთს ექნება სრული შესაძლებლობა იმისა, ამ დანაშაულს გაემიჯნოს, ვინაიდან გენოციდს თავისი შემსრულებელი ჰყავს. მთავარი ის კი არ არის, გენოციდს ინდივიდუალურად და პერსონალურად ვისი სახელი დაერქმევა, არამედ მთავარია ფაქტი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ეროვნული თვითგამორკვევის შედეგი კი არ არის, არამედ იგი ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდისა და გენოციდის პროდუქტია. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უმთავრესი ეს არის.

თავისთავად თქვენ შეკითხვა სწორად დასვით. რა თქმა უნდა, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის აღიარება მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხია. სანამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბევრი რამ არის გადასაჭრელი, ვფიქრობ, საქართველო ამას ყოველნაირად თავს აარიდებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტმა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ, ჰააგის სასამართლოში თავისი წარმომადგენელი უნდა მიავლინოს, ხელი შეუწყოს ყველა იმ დოკუმენტაციის შეგროვებას, რომელიც საერთაშორისო სასამართლოს ამ საქმესთან დაკავშირებით დასჭირდება.

**ასე ფიქრობს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერი. დადგა დრო და საქართველოს ეძლევა რეალური შანსი, პასუხი აგებინოს ყველა იმ პირს, ვისაც აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნოწმენდისა და ქართველების გენოციდში ბრალი მიუძღვის. ჩვენ ამას თორმეტი წელი ველოდით!**

**მზია გელენავა.**

დოკუმენტი

# ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 29 მაისს, დაახლოებით 23 საათზე, ჩხოროწყუში, ავტომატური იარაღების, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისა და ტყვიამფრქვევების გამოყენებით თავს დაესხნენ ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. თავდასხმის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელმა რამაზ ფირცხალავამ, ხოლო ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარეს კანდიტ გოგუას ბანდის წევრებმა ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად მიაყენეს სხეულის დაზიანება;

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 31 მაისს, დაახლოებით 21 00 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში, სოფელ ბაშის გადასახვევთან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით განახორციელა თავდასხმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გზად ავტომანქანით მიმავალ ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებზე: ნუგზარ სვირიაზე, ნოდარ კანკიაზე, ანდრო ექონიაზე და გიგლა მოსიაზე. სროლის შედეგად დაზიანდა ავტომანქანა, ხოლო გელა მოსიამ ბარძაყის არეში მიიღო სხეულის დაზიანება.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, ჯემალ ქობალიას ხელმძღვანელობით, 1992 წლის 24 ივნისს, დაახლოებით 17 00 საათზე, აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით განახორციელა თავდასხმა. ბანდის წევრებმა მოკლეს რეზო კილასონია, დაჭრეს მილიციის მუშაკი მ. ბოკუჩავა და ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად სხეულის დაზიანება მიაყენეს მილიციის მუშაკებს: ვ. კიტიას, მ. ჯანგველაძეს და თ. კარანაძეს. ბანდის წევრებმა დაარბიეს მილიციის შენობა, დროებითი დაკავების საკნიდან გაათავისუფლეს სანქცირებული პატიმრები რ. აბულაძე და თ. თედორაძე, გაიტაცეს გამომძიებელ ა. ხაჟალიას კუთვნილი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა და „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური პისტოლეტი, ორი სისხლის სამართლის საქმე და მათზე დართული ნივთმტკიცებები: „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, „ნაგანის“ სისტემის თვითნაკეთი რევოლვერი, 20 ამპულა „მორფინი“.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 12 ივნისს, დაახლოებით 10 00 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა გზად მიმავალ „რაფის“ მარკის ავტომანქანაზე. თავდასხმის შედეგად ადგილზე მოკლეს ავტომანქანაში მჯდომი „მხედრიონის“ წევრები, შოთა ჯადუგიშვილი და დაუდგენელი ვინაობის პიროვნება, ხოლო გიორგი ქუმსიაშვილმა, ნიკო ჭრელაშვილმა, გურამ როსტიაშვილმა და შალვა მათიაშვილმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებული ბანდა, 1992 წლის 27 აგვისტოს, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე, სენაკის რაიონის კურორტ მენჯში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებით თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის სენაკის საკვანძო სააავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილების ორ კორპუსს და იქვე მდგომ ავტობუსებს სადაც დისლოცირებული იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა რაიონის პოლიციის მუშაკები. თავდასხმის დროს, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებითა და ავტომატური იარაღებით დაზიანებული იქნა ორივე კორპუსის შენობა, ხოლო ავტობუსში განზრახ მოკლეს ბაღდადის რაიონის პოლიციის მუშაკი აკაკი დევალიშვილი.

ზემოთ მითითებულ ეპიზოდებში ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით, 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

1992 წლის 6 ივლისს, გამთენიისას, ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა შეიარაღებულმა ბანდამ მოაწყო თავდასხმა წალენჯიხის რაიონულ ცენტრში ინტერნატის შენობაში დაბინავებულ საქართველოს „მხედრიონზე“, სადაც ამ დროს იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯაბა იოსელიანი. ბანდიტებმა ავტომატური და მძიმე საბრძოლო იარაღით დაცხრილეს ინტერნატის შენობა, ასევე, მიმდებარე შენობები და მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლები, მოკლეს 8 და დაჭრეს საქართველოს მხედრიონის 12 წევრი. ბანდიტები უკუგდებულნი იქნენ მხოლოდ მაშველი ძალების ადგილზე მისვლის შემდეგ.

ამ ეპიზოდში ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 9 ივნისს, ჩაიდინა ტერორისტული აქტი: საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ალექსანდრე კავსაძისა და ჩხოროწყუს რაიონის გამგებლის კანდიტ გოგუას მიმართ სახელმწიფო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ხელისუფლების შესუსტების მიზნით; კერძოდ, ხსენებული პირები ჩხოროწყუს რაიონის მთავარ ექიმთან, ალექსანდრე მიქაიასთან ერთად, სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებით ჩხოროწყუდან ავტომანქანით მიემართებოდნენ წალენჯიხის რაიონში. სოფელ კანთის ტერიტორიაზე ტერორისტებმა ავტომატური იარაღით დაცხრილეს და დაწვეს ა. კავსაძის „გაზ-31“ მარკის სამსახურებრივი ავტომანქანა. თავდამსხმელებმა ადგილზე მოკლეს კანდიტ გოგუა, ხოლო მძევლად აიყვანეს და გაიტაცეს ალექსანდრე კავსაძე, ალექსანდრე მიქაია და ავტომანქანის მძღოლი, რომლებიც გადამალეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურთან, ლუგელას ხეობაში. ამ თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯემალ ქობალია.

ამ ეპიზოდში ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილით და 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდებმა, 1992 წლის 25 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკართან განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სწრაფი რეაგირების ბატალიონ „სატურნის“ წევრებზე, რომლებიც ავტომანქანებით მიემართებოდნენ ჩხოროწყუდან ზუგდიდში. ბანდიტებმა ავტომატური იარაღით და ყუმბარმტყორცნებით დაცხრილეს ბატალიონის კოლონა, მოკლეს 2, დაჭრეს 8 მებრძოლი, დაწვეს 2 ავტომანქანა და მიიმალნენ. ბანდიტურ თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯემალ ქობალია.

ამ ეპიზოდში ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

ზ. გამსახურდიამ, რესპუბლიკის ეკონომიკის განადგურების, მოსახლეობის მასობრივი შიმშილის გზით ფიზიკური მოსპობის მიზნით, ორგანიზაცია გაუკეთა ბანდიტურ ჯგუფებს დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩასადენად. სხენებულმა ბანდიტურმა ჯგუფებმა 1992 წლის თებერვლიდან სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონებში, ზ. გამსახურდიას მითითებით ჩაიდინეს დივერსიები, სარკინიგზო ხიდების, ლიანდაგების და სხვა კომუნიკაციების აფეთქებები, ასაფეთქებელი და სხვა საბრძოლო მასალების გამოყენებით, კერძოდ:

1. 1992 წლის 30 იანვარს სენაკი-ქვალონის გადასასვლელზე ააფეთქეს 1X77 მეტრი ზომის რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 50,0 მილიონი მანეთის ზარალი;

2. 1992 წლის 8 და 9 თებერვალს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე დააზიანეს 50 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 50,0 ათასი მანეთის ზარალი;

3. 1992 წლის 13 თებერვალს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე დააზიანეს 50 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი და რესპუბლიკას მიაყენეს 400,0 ათასი მანეთის ზარალი;

4. 1992 წლის 14 თებერვალს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე დააზიანეს 10 მეტრის სიგრძის რკინიგზის ლიანდაგი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 200,0 ათასი მანეთის ზარალი;

5. 1992 წლის 16 თებერვალს კელასურ-დრანდის გადასარბენზე დააზიანეს რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 20.0 მილიონი მანეთის ზარალი;

6. 1992 წლის 17 თებერვალს ინგირ-ცაცხვის გადასარბენზე დააზიანეს 25 მეტრი სიგრძის რკინიგზის ლიანდაგი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 250,0 ათასი მანეთის ზარალი;

7. 1992 წლის 21 თებერვალს კელასურ-დრანდის გადასარბენზე ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 5,0 მილიონი მანეთის ზარალი;

8. 1992 წლის 22 თებერვალს დრანდა-აძიუბჟას გადასარბენზე ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 5,0 მილიონი მანეთის ზარალი;

9. 1992 წლის 22 და 23 თებერვალს ინგირი-ცაცხვისა და აძიუბჟა-ტამიშის რკინიგზის გადასარბენზე დააზიანეს 50 მეტრი ლიანდაგი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 5,0 მილიონი მანეთის ზარალი;

10. 1992 წლის 26 თებერვალს ტამიში-ოჩამჩირის გადასარბენზე ააფეთქეს IX 11,5 მეტრის ზომის რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 5,0 მილიონი მანეთის ზარალი;

11. 1992 წლის 2 მარტს რკინიგზის ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე დააზიანეს 25 მეტრი სიგრძის ლიანდაგი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 250,0 მანეთის ზარალი;

12. 1992 წლის 13 მარტს ინგირი-ცაცხვის გადსარბენზე ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 50,0 მილიონი მანეთის ზარალი;

13. 1992 წლის 21 აპრილს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, რითაც რესპუბლიკას მიაყენეს 4,0 მილიონი მანეთის ზარალი;

14. 1992 წლის 29 აპრილს აძიუბჟა-ტამიშის გადასარბენზე დააზიანეს 20 მეტრის სიგრძის რკინიგზა, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს 200,0 ათასი მანეთის ზარალი;

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 161-165.



ინფორმაცია

სვანეთი

**სტიქიის შედეგად**

სვანეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის რეაბილიტაციისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები დაიწყო.

როგორც „ინტერ-პრესს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, წერილები უკვე გაგზავნილია გაეროს განვითარების პროგრამისა და მსოფლიოს სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამების ხელმძღვანელებთან. სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან პროდუქტებით დახმარებას ითხოვს.

ფრთხილად!

**საქონლის ცოფი თიანეთში**

თიანეთის რაიონში საქონლის ცოფი მძვინვარებს.

როგორც „ინტერ-პრესისთვის“ გახდა ცნობილი, საძოვარზე მყოფი მსხვილფეხა საქონელი ცოფიანმა მელამ დაკბინა, რაც ცოფის გავრცელების მიზეზი გახდა.

ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნება, რომ ცოფის სალიკვიდაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და აღარ გავრცელდება.

აღნიშნული პრობლემის გამო ტრადიციული დღესასწაული „ლაშარობა“ ლაშარის სალოცავის ტერიტორიაზე ვერ ჩატარდა, რადგან რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, სალოცავთან მისასვლელი გზა გადაიკეტა.

გიხაროდენ!

**გაზი გაიაფდება**

როგორც „ინტერ-პრესს“ „იტერა-საქართველოს“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ირაკლი ნიკოლაიშვილმა განუცხადა, 1000 კუბური მეტრი გაზის ფასი 199 ლარიდან 189 ლარამდე შემცირდება.

„გაუქმდება აირის საფასურის წინასწარ გადახდის პირობაც, რადგან ეს არ ამართლებს. ყველა მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში წინასწარ გადახდის პირობა დევს, თუმცა ეს არ მუშაობს. გვირჩევნია ჩვენს მომხმარებელს უფრო რეალური წინადადება შევთავაზოთ,“ - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

„იტერა-საქართველომ“ ტარიფის შემცირების შესახებ განაცხადი სემეკში უკვე შეიტანა.

ინტერ-პრესი.

თანამემამულე

# რაულ ჩილაჩავას ფენომენი

## სად გაგონილა: ორი დედა, მამული ორი...

რაულ ჩილაჩავა.

**ბოლო სამი წლის მანძილზე კიევში მიყოლებით გამოიცა ცნობილი ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და მეცნიერის რაულ ჩილაჩავას სამი ფუნდამენტური წიგნი, რომლებსაც უკრაინულ პრესაში არაერთი აღფრთოვანებული რეცენზია მიეძღვნა. ბოლო მათგანი „ოცდამეხუთე კადრი“ ჩვენს მკითხველს უკვე წარუდგინა ვილენ მარდალეიშვილმა. ამჟამად გთავაზობთ უკრაინელ ხელოვანთა გამოხმაურებებს, რომლებშიც ჩვენი თანამემამულის ორი უჩვეულო კრებულია შეფასებული.**

**პირველ სიტყვას ვაძლევთ უკრაინის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პოეტ სვეტლანა იოვენკოს, რომელიც ემოციურად, მაგრამ საკმაოდ დასაბუთებულად მსჯელობს „ქართველი პოეტის უკრაინულ შემოქმედებაზე“ — სწორედ ასეა განსაზღვრული არსი კიევში გამოცემული რაულ ჩილაჩავას წიგნისა „ორი დედაქალაქი“. მართლაც, აქ დასტამბული ყველა ლექსი, თარგმანი, ესე თუ მონოგრაფია ავტორის უკრაინული მუზის ნაყოფია.**

ჩემს ხსოვნაში, როგორც მზიურ აკვარელზე, ისე წარმოსდგება ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინანდელი სურათი — ბედის უნიკალური საჩუქარი, ვარსკვლავთა თანაზიარად განლაგების, ცხოვრებისეულ მიზანსცენათა არაშემთხვევითობის ნიშანი. მე, გამომცემლობა „დნიპროს“ ახალდამომცხვარი რედაქტორი, კიევის უნივერსიტეტის ასპირანტი, შევჩენკოს ბულვარით დილაადრან სამსახურისკენ მივემართები. მწვანედ ხასხასებს შლეგი გაზაფხული, ჰაერი გაჟღენთილია მისი მათრობელი სურნელით, რომელიც თავაწყვეტილი სითამამით აღაგზნებს სხეულის ყოველ უჯრედს.

და უცებ... გარკვევით მესმის მელოდია (შუმანის ცნობილი ნაწარმოების მშვენიერი არანჟირება), ხოლო მის ფონზე — საკუთარი ხმა, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი საკუთარი ლექსები ჩემი პირველი კრებულიდან, რომელიც ეს-ესაა უნდა გამოვიდეს.

მე აქეთ-იქით ვიყურები, მივდივარ ხმის მიმართულებით და უკვე ვხედავ მაგნიტოფონზე დახრილ შავთმიან მომხიბლავ ჭაბუკს. ვჩერდები შორიახლო და ვიღიმები, რადგან ყმაწვილი ვერ მამჩნევს. იგი ერთთავად მუსიკაში, მისთვის არამშობლიური უკრაინული ენის ხმოვანებაში დანთქმულა და ბაგეთა ოდნავი მოძრაობით იმეორებს უცნობ ფონეტიკას.

ეს გახლდათ რაულ ჩილაჩავა, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის თბილისელი სტაჟისტი. სწორედ მას დავრთე ნება გადაეწერა, როგორც დღეს იტყვიან, „ექსკლუზივი“ — მუსიკალურ ფონზე ჩაწერილი ჩემი ლექსები. მისთვის, ალბათ, ეს უდრიდა მუსიკის, უცხო ენის პარტიტურაში, როგორც ზღვაში შესვლის ჭეშმარიტ გაკვეთილს. და, მართლაც, სასიამოვნოსა და სასარგებლოს ასეთი ბუნებრივი შერწყმა (აკი ჟურნალისტი სწორედ საამისოდ ჩამოვიდა საქართველოდან!) მისთვის დიახაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

— ღმერთო ჩემო, — ვფიქრობ მე დღეს, — იმ ქართველ ჭაბუკს მაშინ ხომ მხოლოდ ოცი წელი უნდა შესრულებოდა და მთელი მისი მომავალი გზა ლიტერატურაში, მისი მრავალტანჯული ცხოვრება წინ იყო, ახლა კი იგი სახელმწიფო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. ქართულ და უკრაინულ კულტურათა სარბიელზე ოცდათხუთმეტწლოვანი უანგარო თავდადებული მსახურების მანძილზე მან არა მარტო სრულყოფილად შეისწავლა უკრაინული ენა, ჩვენი ერის ისტორია და ლიტერატურა, არამედ დაწერა სამოცდაათზე მეტი წიგნი, რომელთა შორისაა ლექსთა კრებულები ქართულ და უკრაინულ ენებზე, თარგმანები, პუბლიცისტიკა და სამეცნიერო გამოკვლევები. შეგვიძლია მთელი დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ რაულ ჩილაჩავას, იშვიათი შრომისუნარიანობის, მიზანსწრაფულობის და დაუოკებელი შემოქმედებითი ენერგიის შედარებით ახალგაზრდა კაცის რეპუტაცია ხელოვნურად გაბერილი კი არა, მართლაც მნიშვნელოვანი მხატვრული მონაგარითაა შემტკიცებული.




„უსაქართველოდ უფესვებო
მე ვარ ჭადარი,
უუკრაინოდ ძეწნა
ტოტებშემოსხეპილი“ —

რაულ ჩილაჩავას შემოქმედების მცოდნეებს უყვართ ხოლმე მისი ამ უკრაინული სტრიქონების ციტირება, თუმცა მხოლოდ მამაუფალმა იცის, რა ძნელად უხდებოდა პოეტს პროფესიული თვითდამკვიდრება როგორც სამშობლოში, ასევე უკრაინაშიც...

თავისი შესანიშნავი ნაშრომის — თარგმანთა უნიკალური საავტორო ანთოლოგია „აზვისტოს“ (55 უკრაინელი პოეტი. 560-გვერდიანი მდიდრულად გაფორმებული დიდი ფორმატის წიგნი უკრაინულ და ქართულ ენებზე), გამოსვლამდე, რაც, უდავოდ, ოცდაათწლიანი მთარგმნელობითი გამოცდილების შედეგია, რაულ ჩილაჩავას თბილისსა და კიევში გამოცემული ჰქონდა ათობით წიგნი.

პოეტის შემოქმედებით ანგარიშად შეიძლება ჩაითვალოს მისი წიგნი „ორი დედაქალაქი“, (ქართველი პოეტის უკრაინული შემოქმედება), რომელსაც დღესდღეობით ანალოგი არ გააჩნია. აქვეა მოთავსებული ლოგიკურად მოტივირებული ერთი მონოგრაფიაც რუსულ ენაზე, მაგრამ მასზე ცოტა ქვემოთ ვიტყვი.

თავის აღსარებას რაულ ჩილაჩავა იწყებს ლირიკული ლექსებით, თუმცა ამ წიგნზე საუბარი მაინც უმჯობესია დავიწყოთ მისი ბოლო თავიდან, რომელსაც ავტორმა უწოდა „ფილოლოგიური დიპტიქი — „ოდა თარგმანს“. აქაა ინფორმაციის კოლოსალური ოქროს საბადოები, ლიტერატურათმცოდნის განსწავლულობის მძლავრი სპექტრი, სიტყვისა და თემის ბრწყინვალე ფლობა. ეს ყველაფერი გადაჭარბების გარეშე ანცვიფრებს მკითხველს.

მნიშვნელოვანია ის, რომ რაულ ჩილაჩავას ლიტერატურული ნათლია გახლდათ უკრაინული პოეტური ბაროკოს პატრიარქი, საბჭოთა კლასიკის უკანასკნელი მოჰიკანი მიკოლა ბაჟანი. წელს აღინიშნება მისი ასი წლის იუბილე, მაშინ კი, ოცდაათზე მეტი წლის წინათ, იგი უკვე იყო საუკუნოდ წმინდანებს მითვლილი ბრინჯაოსშუბლიანი მეტრი-აკადემიკოსი და ბევრი ახალგაზრდა პოეტის კეთილი გენია...

რაულ ჩილაჩავას სადოქტორო დისერტაცია, მიძღვნილი 30-70-იანი წლების ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებისადმი, ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ ბაჟანისეულ თარგმანთა საფუძვლიან სტილისტურ და ესთეტიკურ ანალიზს. ქართველი სპეციალისტის კვლევის სიღრმე სულის შემძვრელია და მისი კვლევის საგნის კონგენიალური.

საკითხის ისტორიაზე საუბრისას რაულ ჩილაჩავას მოაქვს ნაწყვეტი 1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ივან კულიკის გამოსვლიდან: „მე წავიკითხე მდიდარი და საინტერესო მასალები, რომელთა გამოყენებასაც აპირებს მ. ტოროშელიძე თავის მოხსენებაში. მათ ბევრად შეავსეს ის, რაც ჩვენ ვიცოდით ქართველ მწერალთა თანამედროვე ნაწარმოებებზე. მათთან ღრმად და დაწვრილებით გაცნობის შემდეგ ვხვდებით თუ რაოდენ ბევრს ვკარგავთ იმის გამო, რომ ასე ცუდად ვართ დაკავშირებულნი, რომ ასე ცუდად ვიცნობთ ერთმანეთს, რამდენი უძვირფასესი რამე არ ვიცით.

მე მიმაჩნია, რომ ამ მასალების ავტორს ოდნავაც არ გადაუჭარბებია, როცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები უწოდა.“

ცნობილი კრიტიკოსი, აკადემიკოსი ლეონიდ ნოვიჩენკო, რამდენადაც მას ნებას რთავდა განთქმული ლიტერატურათმცოდნის რენომე, აღფრთოვანებით შენიშნავდა: ესაა ნამდვილი ტრაქტატი მთარგმნელობით ხელოვნებაზეო...

„ფილოლოგიური დიპტიქი — ოდა თარგმანს“, რომელსაც რაულ ჩილაჩავას დღესდღეობით ყველაზე სრული უკრაინული გამოცემის (კიევი, საგამომცემლო ცენტრი „აკადემია“, 512 გვერდი) თითქმის ნახევარი უჭირავს, ბესტსელერივით იკითხება, ისე ვირტუოზულად ფლობს სიტყვას და დაკვირვებათა და ფასდაუდებელი მასალას ავტორი.

გარდა მ. ბაჟანის ქართულიდან შესრულებულ თარგმანთა დამაჯერებელი, ბრწყინვალე, შინაარსიანი ანალიზისა, მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს აგრეთვე რარიტეტს პანტელეიმონ პეტრენკოზე, სახელდობრ მონოგრაფიას: „პანტელეიმონ პეტრენკოს გედის სიმღერა“. ესაა გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანზე, რომლის დასრულებაც ახალგაზრდა ნიჭიერ ლიტერატორს არ დასცალდა ტრაგიკულად დაღუპვის გამო (ოცდაშვიდი წლის ასაკში). მას უთარგმნელი დარჩა სულ რაღაც 141 სტროფი, მაშინ როცა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურად დადგენილი ტექსტი შაირით გაწყობილი 1587 კატრენისგან შედგება!

რაულ ჩილაჩავას რუდუნებით, მართლაც ნამცეც-ნამცეც შეუგროვებია ძუნწი ცნობები ნაკლებად ცნობილ, მაგრამ უდავოდ ნიჭიერ უკრაინელ ლიტერატორზე. პ. პეტრენკო თურმე არა მარტო თვითონ წერდა ლექსებს, არამედ ფრანგულიდან უკრაინულად თარგმნიდა პოლ ვალერის, არტურ რემბოს, შარლ ბოდლერის, ჟან კოკტოს ნაწარმოებებს.

მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის უჩვეულო ფილოსოფიურ სიღრმესა და შესანიშნავ მეტაფორულობაში რაულ ჩილაჩავა თანმიმდევრულად არწმუნებს მკითხველებს. მკვლევარმა უნაკლოდ გაართვა თავი კეთილშობილურ ამოცანას: აღადგინა სამართლიანობა ნიჭიერი, მაგრამ მივიწყებული შემოქმედის მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ თხრობის უმდიდრეს სტილისტიკასა და ანალიზზე.

უდავოა, რომ რუსული და უკრაინული ენების სრულყოფილ ცოდნას, ისევე როგორც მადლიანი ძველქართული ტექსტის სიღრმეთა შეგრძნებას, ლიტერატურის თეორეტიკოსისა და თვით თარგმანის ოსტატის მაღალ პროფესიონალიზმს რაულ ჩილაჩავა აკადემიურ მწვერვალზე აჰყავს.

იხ. მე-4 გვ.

რაიონი

# როცა ყველაფერი თავიდან დასაწყებია...

## დღეს რუსთავში ბოსტნეული აზერბაიჯანიდან შემოაქვთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება

**გარდაბნის გზატკეცილს რომ დავადექი, შვებით ამოვისუნთქე. რუსთავის ხიდიდან ცემენტის ქარხნამდე მისვლა ხომ ჯოჯოხეთია. არადა, ამ მონაკვეთზე რამდენიმე მსხვილი თუ წვრილი საწარმოა, მათ შორის უმდიდრესი ცემენტის ქარხანაც.**

**წლების მანძილზე რამდენი დაპირება იყო, ძველი თუ ახალი ხელისუფლება ინვესტორებს იშველიებდნენ, მალე მოვლენ, შემოგვეშველებიან, ახალ საფარს დააგებენო, მაგრამ...**

**ასე თუ ისე, რუსთავ-გარდაბნის სასაზღვრო არხზე გადებულ ხიდს გავცდი თუ არა, შვებით ამოვისუნთქე, მერე დილის მზის სხივებში აელვარებულმა გარდაბნის ეკლესიამაც შემომანათა, პირჯვარიც გადავიწერე, თან საათისკენ გავაპარე მზერა. არ მიყვარს დაგვიანება, თან ისიც მინდა შევიტყო, ჩემი რესპონდენტი როგორ დამხვდება. დიდი ხანია ვიცნობ, კარგი კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ მაღალი თანამდებობა ხშირად აფუჭებს ადამიანს, უცაბედად მაღალ სავარძელში რომ ნებივრდებიან, ყველაფერი ავიწყდებათ.**

**საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამცრუებია. ნაღდი კაცი ყოველთვის კაიკაცად რჩება.**

რუსთავისა არ იყოს, გარდაბანსაც ოდითგანვე ბედი არ სწყალობს, ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იშვიათად რომ ადგილობრივი მკვიდრი შეირჩეს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი გამგებელი რუსთაველი კაცია, შეიძლება თავი ქუდში იგულონ გარდაბნელებმა.

მაინც ვინაა, რას წარმოადგენს ახალი გამგებელი?

*დათო ნადაშვილი, 1961 წელს დაბადებული, როგორც ვთქვით, რუსთავის მკვიდრი, აქ დაბადებული, აქვე ნასწავლი. შემდგომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განათლებამიღებული. პირველი შრომითი გაკვეთილებიც ამ ქალაქში გაიარა — მეტალურგებთან, მერიის სამსახურში. ბოლოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გახდა. სულ რაღაც თვეებია, რაც ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს რაიონს თავკაცობს.*

— შესწორება: უმდიდრესი იყო, დღეს კი...

წინა ხელისუფლებამ, გუბერნატორი მყავს მხედველობაში, თავი „მიწის რეფორმატორობით“ გამოიჩინა.

რეფორმამ ეძახდნენ იმას, რაც რაიონის სოფლის მეურნეობის ნგრევას მოჰყვა. წინასწარი გათვლა-გაანგარიშების გარეშე მოდგნენ და გააქიაქეს უმდიდრესი მეურნეობები, გაასაჩუქრეს მიწები, მანქანა-ტრაქტორები, მოიშალა მილიონობით ღირებული სარწყავი სისტემები. მოგეხსენებათ, გარდაბანი ნახევრად უდაბნოს ზოლშია განლაგებული. მიწა კია ხვავიან-ბარაქიანი, მაგრამ თუ არ მორწყე, კლერტა ბალახიც ვერ გაიხარებს.

ყველა, ყველა, მაგრამ მიწის გასხვისებამ წელში გატეხა რაიონის სოფლის მეურნეობა.

— ბოსტნეულის ნაცვლად იონჯა დათესეს, ადვილი მოსავლელიაო, ერთიორჯერ გათიბეს და... — შეშფოთებული ჰყვება რაიონის თავკაცი.

არადა, მგონი დღესაც კარგად ახსოვთ გარდაბნის გამორჩეულობა, ის ხომ ქვეყნის ბეღელი იყო. დიდძალ მარცვლეულთან ერთად, ყოველწლიურად 110-120 ათასი ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ. აქაური პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, ხახვი, მწვანილებიც კი მოსკოვსა და ლენინგრადში, უკრაინასა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმაც გადიოდა და მერე როგორ.

— მრცხვენია, რუსთავის ბაზარში აზერბაიჯანიდან შემოტანილ ბოსტნეულს რომ ვყიდულობ, ეს ხომ დანაშაულია, — გულისტკივილს ვერ მალავს გამგებელი.

მართლაც რომ, საკვირველი ამბავი მოხდა. მე, როგორც ჟურნალისტი, ზონის კორესპონდენტი, 3 ათეული წელი ვემსახურე ამ რეგიონს

იხ. მე-4 გვ.

⊙ თანამედროვე

# რაულ ჩილაჩავას ფენომენი

(მესამე გვერდიდან)

და აქ სასხვათაშორისოდ ვიტყვი: მკაფიოდ წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა მიკოლა ბაჟანი, მისი მოწაფისა და ლიტერატურული ნათლულის სახელს ღირსეულად რომ შეევსო (გაეახალგაზრდავებინა!) უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შებერებულ, ჭაღაროსან აკადემიკოსთა სია!

მაგრამ დავუბრუნდეთ რაულ ჩილაჩავას „ორ დედაქალაქს". მწერლის ესეები დავით გურამიშვილზე, ტარას შევჩენკოზე, აკაკი წერეთელზე, ლესია უკრაინკაზე და ანა კალანდაძეზე ადასტურებენ არა მარტო ორივე – ქართული და უკრაინული (მისთვის ერთნაირად მშობლიური!) – ლიტერატურის ფენომენალურ ცოდნას, არამედ სიტყვისა და შეფასებათა ფილიგრანულ სიზუსტეს, სამეცნიერო ძიებებში განუწყვეტლივ ჩაღრმავებულობას, კვლევის ობიექტი-



სადმი მიმართულ პოეტისა და ფილოლოგის (თუმცა მისი პირველი პროფესია ჟურნალისტიკაა) თვითმყოფად მზერას...

დასანანია, რომ „ორ დედაქალაქს" არ გააჩნია სახელთა საძიებელი: იგი ნათლად წარმოაჩენდა რაულ ჩილაჩავას დაინტერესების, ობსერვაციისა და ერუდიციის ენციკლოპედიურ მასშტაბს. ვის არ შეხვდებით აქ – ნესტორ ლამბარაშვილსა და აკადემიკოს ალექსანდრე პოტებნიას, უნამუნოსა და ნიკო ლომოურს, ლევ შესტოვსა და იაკობ გოგებაშვილს, ბორხესსა და მურმან ლებანიძეს, კორტასარსა და ლევ გუმილიოვს, იოსებ გრიშაშვილსა და ვლადიმერ სოლოვიოვს, კოლაუ ნადირაძესა და ჯონ რასკინს, ჯულიო ანდრეოტისა და ოთარ იოსელიანს, ჰორაციუსსა და მიხეილ გორბაჩოვს, ალექსანდრე დოვჟენკოსა და თენგიზ აბულაძეს, ვასილ დიდენკოსა და არსენ ტარკოვსკის, უილიამ საროიანსა და თენგიზ ნატროშვილს, გრიგოლ მაისურაძესა და ტარას შევჩენკოს, ტონინო გუერას, ოტო ბისმარკსა და ამბროსი ხელაიას – ერთი სიტყვით მთელ იმ ელიტარულ მიკროსამყაროს, მომიტევოს ავტორმა, მთელ იმ „ნარევს" ინტელექტუალურ გურმანთათვის, რომლებიც ყველა დროში თავს თვლიან საზოგადების „ნაღებად", რადგან ერუდიტები არიან და სულიერი არსებობა მხოლოდ მსოფლიო კულტურის კონტექსტში შეუძლიათ.

ირონია და თვითირონია, რაც ავტორის გონების სიჯანსაღისა და ადექვატური თვითშეფასების ნიშანია, ბედნიერადაა განფენილი ფურცლებზე ისეთი შინაარსიანი, მნიშვნელოვანი, მრავალწახნაგოვანი წიგნისა, როგორიცაა „ორი დედაქალაქი". მას ყველაზე უკეთ უხდება რობაიების ლაკონური ფორმა, რომელსაც რაულ ჩილაჩავა სრულყოფილად ფლობს. ალბათ არ უნდოდა დაეშინებინა მკითხველი ზედმეტი დრამატიზმითა და სერიოზულობით, ან იქნებ სულაც გენიალური პუშკინის გამონათქვამი გაახსენდა (პოეზია უნდა იყოს მოსულელოო), ამიტომ წარმატებით მიმართავს ირონიზებას:

**პოეტი იყო, ლექსს აწრფობდა**
**სულის ქურაში,**
**არ მოუკლია პეგასისთვის ქერი,**
**ფურაჟი,**
**ოღონდ ეგაა, რომ ვარსკვლავებს**
**არ წყვეტდა ციდან,**
**გავაფუჭოო, ვაჰ, თუ უცებ**
**ცის ანტურაჟი.**

მართლაც უბრალოდ და გენიალურადაა ნათქვამი. ან თუ გნებავთ, ასეთი „პუსარული" აღსარება:

**„თუ წინ დაგიდგეს მათრობელი**
**ალადასტური**
**და საუბარში შეგაპარეს**
**კითხვა მაცთური:**
**„რომელი გიყვარს: შავთმიანი**
**ქერათმიანი"**
**მიუგე „დიახ!" ერთი სიტყვით**
**მიეც დასტური.**

საგულისხმოა, რომ რაულ ჩილაჩავას უკრაინულ რობაიებშიც, სადაც ფილოსოფიური მარგალიტებია მიმობნეული, ცოცხლობს ქართული ტკივილი:

**ყალბი ნუგეში, ყალბი მადლი,**
**ყალბი სალამი,**
**ყალბი ლაშქარი, ყალბი ჰიმნი,**
**ყალბი ალამი,**
**ნამდვილი მხოლოდ სისხლი,**
**ცრემლი და მწუხარება,**
**ნამდვილი მხოლოდ მოდებული**
**წალკოტს წალამი.**

ხაზგასმით უნდა ითქვას, გარკვეული შემაჯამებლური ხასიათი რაულ ჩილაჩავას წიგნისა „ორი დედაქალაქი" მისი კომპოზიციური, შინაარსობრივი და თვით საილუსტრაციო სრულყოფილების თვალსაზრისით, ცხადია. პოეტის კოლეგების გამონათქვამები მასზე, მისადმი მიძღვნილი ლექსები (შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისთვის), თვითონ ავტორის უკრაინული პოეტური შემოქმედების ამსახველი განყოფილება „ნათელ სიზმართა დარბაზი" (სადაც ცალკე გამოყოფილია სონეტები – დარბაისლური კლასიკური ფორმა), გონებამახვილური და სასიამოვნო საბავშვო ლექსები („მზე ყურძნის მტევანში"), რაულ ჩილაჩავას მიერ ქართულიდან შესრულებულ თარგმანთა საკმაოდ მოზრდილი თავი (ინტელიგენტურად შერჩეული რუბრიკა „მასწავლებლები. თანამედროვენი. მეგობრები"), შემდგომ – აღრე უკვე დასახელებული „მარგინალიები" (ელიტარული მინიატურების კალეიდოსკოპი) „პესიმისტის ჩანაწერები". აქვეა ესეები „უკვდავი ქნარის სიმები" და ფილოლოგიური დიპტიქი მონოგრაფიებიდან „ოდა თარგმანს", – ესაა, თუკი დავამატებთ წინა წიგნის – უკრაინელ პოეტთა ლექსების რაულ ჩილაჩავასეულ ნახევარათასგვერდიან საავტორო ანთოლოგია „აგვისტოს" , რომელიც იწყება ტარას შევჩენკოს პოემით „კავკასია" და მთავრდება სვეტლანა კორონენკოს ლექსებით, – ჭეშმარიტად შემოქმედებითი ანგარიში კაცი-ორკესტრისა, იშვიათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭიერების მწერლისა, რომელსაც კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სულ ბოლო დრომდე სორბონის პროფესორი ვიქტორ კოპტილოვი უწოდებს ოსტატს, „რომელიც ჩვენთან თითქოს აღორძინების ხანიდან მოვიდა". და ჩვენ უნდა დავეთანხმოთ და შევიგნოთ, რომ ასეთი განსაზღვრება რაულ ჩილაჩავამ დაიმსახურა





სამართლიანად, ღირსეულად, საკუთარი გარჯის წყალობით. კოლოსალურია ამ პოეტის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის წვლილი უკრაინული კულტურის განვითარებაში. ჯერ კიდევ შეუფასებელია უკრაინის სულიერი განვითარებისთვის, მისი წმიდათა წმიდა განძის – სამამულო პოეზიის უთვალსაჩინო-

ეს მარგალიტთა რუსთაველის სამშობლოში პროპაგანდისთვის საქართველოს შვილის ტიტანური შრომა და თავდადება.

მწარედ ჟღერენ რაულ ჩილაჩავას სტრიქონები ლექსიდან „ითაკაში დაბრუნება":

**როცა დავბრუნდი,**
**ვერავინ მიცნო,**
**გამოცვლილიყო ჩემი ითაკა,**
**ჩემი უზენაესი სიზმრების**
**საყუდარი.**

ყმაწვილი ოდისევსი სამოგზაუროდ გაეშურა, რაც მას არა მარტო აღმოჩენებს, არამედ დანაკარგებით გამოწვეულ ტკივილს, გულგატეხილობასა და ილუზიათა მსხვრევასაც ჰპირდებოდა.

სამყაროს ტრაგიკული აღქმა (და არა დაფნის გვირგვინით ტკბობა, რაც მან ასევე დაიმსახურა!) ძალუმად საგრძნობია რაულ ჩილაჩავას საუკეთესო ლექსებში, რომლებიც ბრალს სდებენ ჩვენი რთული დროის „წინასწარმეტყველებსა" და „ბელადებს". ცივილიზაციის რეალიები სასტიკად წარმოსდგება აპოკალიფსის – „შავი ყუთის" სახით, – რაც თითქოს მომხდარის მიზეზებისა და დამნაშავის გაშიფვრის იმედს იძლევა.

„შავი ყუთი" – ესაა ლექსი ღალატის, ორპირობის, პოლიტიკური მეძაობის უარყოფაზე. ვაჟკაცური ლექსი მათზე, ვისი რწმენაც გათელეს, ცხოვრება კი შეურაცხყვეს და წაბილწეს. ასეთი ლექსები გამოარჩევენ რაულ ჩილაჩავას ბრბოში გარეული ადამიანებისგან – გასაშუალებულ-გაერთპირებული უსახო მასისგან. ნებისმიერ ბრბოს უნდა ჰყავდეს გმირი, რათა გულუბრყვილო ბიჭუნამ მთელი ხმით იყვიროს, მეფე შიშველიაო!

„სუყველაფერი არეულია და ვეღარავინ ვეღარ მიხვდება წუმპეში ზის თუ ეს-ესაა მოშორდა წუმპეს"... მე თუ მკითხავთ, პოეტის ეს მწარე რეფლექსიები მისი პატიოსნებისა და სინდისიერების ლაკმუსია. რადგან, არსებითად, რაულ ჩილაჩავა მთელი ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე საზოგადოებრივ ქართა მიმართულებების მიუხედავად, ღირსეულად, ნიჭიერად და თავდადებულად აკეთებდა თავის საქმეს. ქართული და უკრაინული სიტყვის ხელოვნებისადმი ამ უანგარო მსახურების შედეგი აშკარაა.

ხან როგორც ფილოსოფოსი და არტისტული პიროვნება, ხან როგორც ნატიფი ოქრომჭედელი, ხან კი როგორც სკრუპულოზური მეცნიერი, ხანაც როგორც ცელქი ბიჭუნა, რომელსაც უხარია საკუთარი სიბრძნე, იგი ჟონგლირებს კატრენებით, რითმებით, ტკბება და ვერ დამტკბარა ორი უშესანიშნავესი ენის ლექსიკით. ასე მრავალგვარი წარმოსდგა რაულ ჩილაჩავა თანამედროვეთა წინაშე საკუთარი ცხოვრების წიგნის „ორი დედაქალაქის" ფურცლებიდან.

ვფურცლავ ამ წიგნს, რომელშიც მკაფიოდაა აღბეჭდილი ბედი, დრო, ეპოქა... შინაგანი მზერით კი ვხედავ შევჩენკოს ბულვარზე ალვის ხეთა შორის გაჭიმულ თვალისმომჭრელად ლაჟვარდისფერ, დილის მზის სხივებით გაბრწყინებულ ასფალტის ლენტს და მესმის შესანიშნავი მუსიკა და ჩემი ხმა, ჩემი ლექსი 19 წლის სტუდენტ რაულ ჩილაჩავას მუხლზე ჩამოდებული მაგნიტოფონიდან. იგი ტუჩების მოძრაობით იმეორებს უკრაინულ სიტყვებს. მე მას ვუახლოვდები, ის კი ვერ მამჩნევს... ეს იყო ჩემთვის კურიოზული და გამაოგნებელი შემთხვევა.

ჯერ კიდევ წინ იყო მთელი ცხოვრება, და ჩვენ არც კი ვუფიქრდებოდით, იქნებოდა თუ არა იგი კარგი, რა აგვიხდებოდა, ხოლო რას დავკარგავდით სამუდამოდ.

ოცი წლის შემდეგ, როცა საქართველოს ოფიციალური პირები მიგვიწვევენ თბილისში ო. სინიჩენკოს, გ. ხალიმონენკოს, ი. დრაჩს, მე და მ. ვინგრანოვსკის მხატვრული თარგმანის გარშემო დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, მე, კიეველი პოეტი, რაულის გვერდით სადღაც მაღლა, ღრუბლებს შორის მდგარი, მთაწმინდიდან თვალს შევავლებ მის ქართულ დედაქალაქს და ჩუმად გავიხსენებ ჩემთვის იმ ბედნიერ კიევურ დღეს, როცა ჩემი პოეტური სიტყვა, ჩემი ცოცხალი ხმა საქართველოდან ჩამოსული სტაჟისტი სტუდენტისთვის უკრაინის განსახიერება იყო. მე დღეს შემიძლია ვიამაყო ამ მოგონებით, რადგან რაულ ჩილაჩავას უკრაინული ლექსები, თარგმანები და სამეცნიერო ნაშრომები უკრაინის ოქროს განძია, როგორც თვითონ იგი. ბრალია, თუ ვინმესთვის ეს სიახლეა და არა დამტკიცებული ჭეშმარიტება.

**სვეტლანა იოვენკო,**
**პოეტი,**
**უკრაინის ხელოვნების**
**დამსახურებული მოღვაწე**

⊙ წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

## ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში. ორთაჭალაში. 1948 წელს

მეორე საღამოს სადგურ მანჯურიას ხარბინიდან მომავალი მატარებელი მოადგა. სადგურს ორი მხარე ჰქონდა: წინა მხარეზე დგებოდა ხარბინში მიმავალი მატარებლები, უკანა მხარეზე კი – იქედან მომავალი. მე გავედი ბაქანზე და ვათვალიერებ მატარებლიდან გადმოსულ ხალხს. უცებ უკანა ვაგონთან თვალი მოვკარი ჩოხიან კაცს. აჩქარებული ნაბიჯით მაშინვე მისკენ გავემართე. მივედი თუ არა, ვაგონიდან გადმოვიდა დიდებული ვაჟკაცი, საუკეთესო ჩოხა-ახალუხი ეცვა, მოოქროვილი მასრები უელავდა, ძვირფასი ფაფახი ეხურა, ბრწყინვალე ქამარ-ხანჯალი ერტყა. მიტრიალდა, ვაგონიდან გადმოიყვანა ჩერქეზულად გამოწყობილი პატარა, ლამაზი რვა წლის ბიჭუნა. ბარგი გადმოიტანა ხუთმა კაცმა, მას რომ ახლდნენ. კაცი ბავშვს ქართულად დაელაპარა და მეც მივუახლოვდი, მივესალმე. მან მხიარულად ჩამომართვა ხელი და როცა ვუთხარი, ჩიქოვანი გახლავართ-თქო, სიხარულისგან ანთებულმა წამოიძახა, ბიჭო, გვანჯი ხომ არა ხარო?!

დიახ, მე ვარ-მეთქი, მოვახსენე და ეს კაცი გადამეხვია. მე პლატონ დადიანი ვარ, ერთი თვეა, გელოდები და რა მოგივიდაო? მე მოკლედ ვუამბე პლატონს ყველაფერი. მან ეტლს დაუძახა და მითხრა – ახლა წავიდეთ ორახელაშვილთან სასტუმროში, ვისადილოთ და მოვილაპარაკოთო.

მივედით სასტუმროში. მოატანინა პლატონმა მშვენიერი საუზმე. უბრძანა მსახურებს, მარილწყალში მოეხარშათ მოზრდილი ბატკანი და გაიმართა საუცხოო სადილი. საუბარში პლატონმა მითხრა, რომ იგი მიემგზავრება თბილისში, რადგანაც სურს, თავისი პატარა ვაჟი მოაწყოს ქართულ გიმნაზიაში, რათა ბავშვი არ გადაგვარდეს და მშობლიური ენა არ დაივიწყოს. ამასთანავე, ბანკში გადაგზავნილი ჰქონოდა ფული, უნდა შეესყიდა და გამოეგზავნა ოცი ვაგონი ქართული (კახური) ღვინო. მერე მომიბოდიშა, ჩემო გვანჯი, ვწუხვარ, რომ ასეთ მდგომარეობაში შეგხვდი. ჩემი უკან დაბრუნება შეუძლებელია, თანაც აქ ისე ვერ დაგეხმარები, როგორც შეგეფერება და შენთვის აუცილებელი არისო. იქვე გამამხნევა, თვენახევარში უკან დავბრუნდები და ყოველივეს ისე მოვაწყობ, როგორც შენ დაგჭირდებაო. ეს თქვა და ჯიბიდან ორი ასმანეთიანი ამოიღო, გადმომცა. მე უღრმესი და უგულითადესი მადლობა გადავუხადე პლატონს. მან დამიბარა: გვანჯი, ხარბინში ჩასვლა თუ ჩემს დაბრუნებამდე მოახერხო, მიდი იქ ჩემი სახელით აზიერ ბუფეტში და არაფერი არ მოგაკლდებაო, თუ არა და, მე რომ დავბრუნდები, მერე ნულარაფრის შეგეშინდებაო.

იმავე დღეს პლატონი თავისი ვაჟითა და მხლებლებით თბილისისკენ გამოემგზავრა. მე უზომოდ გამამხნევა და ახალი იმედით შემმოსა პლატონის გაცნობამ და მისმა ასეთმა მოპყრობამ. საღამოს ისევ ორახელაშვილის სასტუმროში დავბრუნდი და ვზივარ ერთ-ერთ მაგიდასთან. ვხედავ – ჩემთან მოდის ის ჟანდარმი, რომელმაც პირველად გადმომიყვანა სამხედრო



ამილ მიურატი და სალომე დადიანი.

ეშელონიდან და სადგურზე გასვლა ამიკრძალა. ეს კაცი რომ დავინახე, სიმწრის ოფლმა დამასხა და გულზე კბენა ვიგრძენი. უნებურად წამოვდექი, რადგან მისგან კარგს არაფერს ველოდი. მან ხელით მანიშნა, დავმჯდარიყავი და მითხრა:

– Молодой человек, если Вы не против, я хочу поужинать с Вами, с тем условием, что я закажу по своему вкусу!

მე მოკლედ და გაბედულად ვუპასუხე:

– Очень приятно! Буду рад! Но разрешите заплатить мне.

მან მოითხოვა სასმელი „რიბინოვკა" და საუკეთესო ხარშხის თევზი, ე. წ. „ნავაგა". მე ღვინო და ქართულად შემწვარებული ცხვრის მწვადები შევუკვეთე. ჟანდარმმა რამდენიმე ჭიქა რომ გადაჰკრა, ჩემკენ მოიწია და მითხრა:

– Молодой человек! Хотя я жандарм, но и у меня есть человеческое сердце. Я замечаю, что Вы полтора месяца ходите очень обеспокоенный. Скажите мне откровенно, что Вас беспокоит и даю Вам честное слово, что я помогу Вам.

ეს სიტყვები მან ისე დამაჯერებლად და მგრძნობიარედ მითხრა, გადავწყვიტე, გამემხილა ჩემი სურვილი და ჟანდარმს ყველაფერი ისე მოვუყევი, როგორც მანამდე გენერალ მარტინოვს ვუამბე. ვუთხარი, რომ ძმებთან წასვლა მინდოდა ფრონტზე. მან დაიჯერა ჩემი ნათქვამი და მითხრა – ხვალ დილით მე ვაცილებ ხარბინის მატარებელს, ახლა მომეცი ბილეთის ფული, თორმეტი მანეთი. თუ შეგიძლია, ვაგონში მაშინ შემოჯექი, როცა მატარებელი სემაფორს გასცდება. ხარბინში რომ ჩავალთ, თუ დარჩება, მერე ას მანეთს გამოგართმევო. მე ამოვიღე ასი მანეთი და იქვე მივეცი. მან ორმოცი მანეთი უკან დამიბრუნა. წაიღო სამოცი მანეთი და კიდევ ბილეთის ფული, თორმეტი მანეთი.

იმ ღამესვე დავემშვიდობე ყველა ჩემს მეგობარს. ბარგი, რის ატანასაც აძრულ მატარებელზე ვერ შევძლებდი, დავტოვე და ხარბინის გზის სემაფორისაკენ გავემართე. მართლაც, რამდენიმე წუთში მატარებელი გამოჩნდა. მე გარეგნულად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, თითქოს დინჯად ვიდექი, მაგრამ გული ძალუმად მიცემდა, ვღელავდი. მატარებელი დაიძრა და გავქანდი, შეგულებული ვაგონის სახელურს სწრაფად, ახალგაზრდულად მოვავლე ხელი, ტალანზე ავედი. კარებში მოხერხებულად შემომეგება ეს ჟანდარმი. შეუმჩნევლად მომაწოდა ბილეთი, შემდეგ პოლკოვნიკ შერშოვის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საშვებიც მომცა და მითხრა – კონტროლი როცა ჩამოივლის, მეც მასთან ვიქნები, ბილეთი კონდუქტორს გაუწოდე, ეგ საშვი კი მე მომაწოდეო. ასე გამაფრთხილა და წავიდა. რამდენიმე საათის შემდეგ ამ ჟანდარმმა და კონდუქტორების ჯგუფმა ჩამოიარეს. ერთ-ერთს დინჯად მივეცი ბილეთი, საშვები კი ჟანდარმს გადავაწოდე. მან ბეჭდიანი ქაღალდი ჩაათვალიერა და მითხრა, ეს ჩემთან დარჩებაო. კეთილი, ოღონდ არ დამეკარგოთ-მეთქი, მივაძახე.

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 147-151, 153-165.

(გაგრძელება იქნება).

⊙ ინფორმაცია

დედაქალაქი

**შუქი ღამის თბილისში**

თბილისში დასავლეთ საქართველოდან შემოსასვლელ საავტომობილო მაგისტრალზე, აღმაშენებლის ხეივანიდან გელოვანის გამზირამდე ახალი ღამის განათებები დამონტაჟდება.

როგორც ინტერ-პრესს შპს „თბილქალაქგანათების" გენერალურმა დირექტორმა ამირან ქურცუამ განუცხადა, სამუშაოების დაწყება ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, აღნიშნულ მაგისტრალზე 700 ცალი ძველი სანათი თანამედროვე ეკონომიური ლამპიონით შეიცვლება.

მისი თქმით, ამჟამად სამუშაოები დედაქალაქიდან რუსთავისაკენ მიმავალ ახალ გზაზე მიმდინარეობს. ორთაჭალის ავტოსადგურიდან 2-კილომეტრიან მონაკვეთზე უკვე დამონტაჟდა ახალი განათებები. ახლო მომავალში სამუშაოები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან რუსთავისკენ მიმავალ გზაზეც გაკეთდება.

დასავლეთ საქართველოდან შემოსასვლელი გზის მონაკვეთზე განათებების დამონტაჟებისთვის მსოფლიო ბანკმა მილიონ 300 ათასი ლარი გამოყო.

სამართალი

**ეძებენ ყოფილ გამგებელს**

ვანის რაიონის ყოფილი გამგებლის ალეკო ბელქაძის წინააღმდეგ იმერეთის საოლქო პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო. იგი დაკითხვაზე რამდენჯერმე დაიბარეს, თუმცა ბელქაძე პროკურატურაში არ მივიდა, რის გამოც ყოფილი გამგებელი ძებნილად გამოცხადდა.

მოკვლეული მასალების მიხედვით, ალეკო ბელქაძე მისი გამგებლად მუშაობის პერიოდში ვანის რაიონის სხვადასხვა ობიექტების არასწორად პრივატიზებასა და სამელიორაციო მილების გაყიდვაშია მხილებული.

ვანის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ გაჩხრიკეს ბელქაძის საცხოვრებელი სახლი, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, მნიშვნელოვანი ვერაფერი იპოვეს.

ალეკო ბელქაძე ვანის რაიონს 1999-2003 წლებში ხელმძღვანელობდა.

კადრები

**შეცვლის გრიგალაშვილი ბერძენიშვილს?**

პარლამენტის განათლების, სპორტისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბერძენიშვილმა გუშინ ოფიციალურად დატოვა თანამდებობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ლევან ბერძენიშვილმა ოფიციალური წერილით პარლამენტის ბიუროს მიმართა, პარლამენტის ბიურომ კი გუშინვე ცნო მისი გადადგომა. პარლამენტში გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურაზე უკვე ჩამოყალიბებულია. საპარლამენტო უმრავლესობამ კომიტეტის წევრ ნოდარ გრიგალაშვილზე შეაჩერა ყურადღება. თავად გრიგალაშვილი კი აცხადებს, რომ თუ საპარლამენტო უმრავლესობა გადაწყვეტს, მას არჩევანი არ ექნება და იგი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას შეუდგება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებას პარლამენტიც მხარს დაუჭერს.

**ინტერ-პრესი.**

⊙ რაიონი

# როცა ყველაფერი თავიდან დასაწყებია...

## დღეს რუსთავში ბოსტნეული აზერბაიჯანიდან შემოაქვთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება

(მესამე გვერდიდან)

და ვერ წარმომედგინა, საქართველოში ბოსტნეული თუ გამოილეოდა. ან ხეხილის ბაღებს თუ ასე ამოძირკვავდნენ. მერედა, რა რთველი იცოდნენ გარდაბნელებმა, მარტყოფელი, სართიჭალელი, გამარჯვებელი თუ ახალსამგორელი მევენახეები რა ამაყები იყვნენ. დღესაც შემონახული მაქვს მაშინ გადაღებული ვიდეოკადრები.

და ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. აქ ხომ წელიწადში ორი-სამი მოსავალი მოჰყავდათ.

– ჩვენც მიწის რეფორმით დავიწყეთ, – გაოცებული რომ მივაჩერდი, გაეღიმა, – ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ასეა, საკუთარი ძალებით შევუდექით მიწის ინვენტარიზაციას, აქ ხომ სრული ქაოსი და განუკითხაობაა. პირველი, რაც თვალში გეცემა, ის უწესრიგობაა, რომელიც გამოუცდელ ადამიანს დააბნევს... ათობით და ასობით ჰექტარი სავარგული, სადაც ბოსტნეული და მარცვლეული მოჰყავთ, გასხვისებულია. მათი მფლობელები, ფაქტობრივად, იჯარას არ იხდიან. მიწებს, თვითონ აქირავებენ – ას ლარად, ორასად და მეტადაც, მიწას გააჩნია, თანხას კი თვითონ იჯიბავენ. სახელმწიფო, რაიონი წლიდან წლამდე ზარალობდა, გაღარიბებული ბიუჯეტი კი ხელფასებს ვერ აძლევდა პედაგოგებს, კულტურის თუ მედიცინის მუშაკებს. თუ არა სოფლის მეურნეობა, რაიონს სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნია, მრეწველობა ხომ აღგვილია მიწისაგან პირისა.

და აი, ჩვენ შევეხეთ ეგრეთ წოდებულ მოიჯარეებს, მათ კატეგორიულად მოვთხოვეთ კანონიერების აღდგენა და დაცვა. მიწების ხელახალმა აზომვა-კადასტრირებამ დაგვანახა, რომ თითქოს ყველგან უხეში კანონდარღვევაა. ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც მაღალნაყოფიერი სარწყავი მიწები დაბალ კატეგორიებზეა გადაყვანილი, რათა გადასახადი დაემალათ. ერთი სიტყვით, ვაიხელმძღვანელებმა მიწას ღირსება დაუკარგეს.

**– ძალიან მძიმე სურათი გამოგვდის?**

– არ იფიქროთ რამეს ვამუქებდე. საკმარისია გაიაროთ რაიონის სოფლებში. თვალი გადაავლოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და...

**– მერედა, ეშველება?**

– ღმერთმა ნუ ქნას, ასე გაგრძელდეს, მოკლე დროში მაქსიმუმი გავაკეთეთ, ეს დაეტყო კიდევაც რაიონის ბიუჯეტს, თუ ადრე პედაგოგთა სახელფასო დავალიანება წლიდან წლამდე გროვდებოდა, წელს პირველად ყველამ მიიღო ხელფასი და საშვებულებო თანხაც...

**– ფული საიდან გაჩნდა?**

– გავამკაცრეთ მომთხოვნელობა – მიწა აიღე, დაეპატრონე? სახელმწიფოს თავისი უნდა გადაუხადო... ქვეყანაში შექმნილმა გაჯანსაღებულმა კლიმატმაც შეგვიწყო ხელი. ყველა მიხვდა, რომ არავის არაფერი შერჩება.

**– მიგაჩნიათ, რომ გარდაბნელები ბოსტნეულს კვლავაც უხვად მიაწვდიან ბაზრებს?**

– მომავალში ქვეყანას ნამდვილად არ უნდა დასჭირდეს გარედან ბოსტნეულის შემოტანა, უფრო მეტიც, ჩვენ მას, პირიქით, გავიტანთ, და ამის რეზერვი ძალზე დიდია. მართალია, დღეს ინდივიდუალური მეურნეობები აწარმოებენ ბოსტნეულს, სამწუხაროდ, სტატისტიკაც მოშლილია, არ გაგვაჩნია მონაცემები, თუ ვინ რას აწარმოებს, მაგრამ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ. მომავალი წლიდან მოიჯარეებს მოვთხოვთ, ვინ რა მოსავალი უნდა მიიღოს... საუკეთესო სავარგულების განადგურების უფლებას არავის მივცემთ. ჩვენ ვიცით, ტრადიციულად რომელ ფართობზე რა მოჰყავდათ, ქვეყანას რა სჭირდება.

**– გარდაბანში ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხნებიც იყო...**

– შემოგვრჩა კიდევაც, თვით რაიონში უნიკალური ქარხანაა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, სადაც დიდი ოდენობით ტომატისა და სხვა სახის კონსერვების დამზადება შეიძლება. მერე და რა გამოდის, არ არის პამიდორი, არ არის ხილი... ადრეულ წლებში ქარხნების ჭიშკართან რიგები იდგა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, რაიონს დავუბრუნოთ თავისი ფუნქცია, ვიხსნათ მარჩენალი მიწა... საუბარია არა მარტო ბაღჩეულზე, მარცვლეულის მოყვანაც გაათკეცდება, ხეხილის ბაღებსაც მივხედავთ. რაც შეეხება მეცხოველეობას, ეს დარგი მოსახლეობამ თვითონ განავითარა. თუ ადრე მეცხოველეობის ფერმები ითელებოდა წამყვანად, დღეს თვითონ გლეხები ზრუნავენ მასზე და ამრავლეს კიდევაც.

გარდაბანი, გარდა იმისა, რომ ტერიტორიულადაც და მოსახლეობითაც უდიდესი რაიონია, იგი ეთნიკურადაც მრავალფეროვანია, აქ მოსახლეობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. რაიონის ხელმძღვანელს დიდი ნიჭი და უნარი სჭირდება, რათა ყველასთან გამონახოს საერთო ენა და პოლიტიკაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი გზით წარმართოს. დავით ნადაშვილს ამის დიდი ნიჭიც აქვს. ამიტომაც ენდობა მას რაიონის მოსახლეობა.

**გივი ჯახუა,**
**„სრ" საკ. კორ.**
**გარდაბანი.**

ჭიდაობა

# ორი ჩემპიონი და გუნდური გამარჯვება

[illegible] ლებმა მალხაზ ხილიმონიშვილმა (55 კგ) და ომარ ბაკურიძემ (56 კგ). [illegible] 74 კილოგრამ [illegible]

შალვა ჩიხლაძე.

ჩოგბურთი

# დევისის თასამდე ჯერ კიდევ შორია

ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის წარმომადგენლები — საქართველო და ეგვიპტე [illegible]



[illegible] რებმა კი პირიქით — მშრალი ანგარიშით მარცხისთვის თავის ასარიდებლად და პრესტიჟის აღსადგენად ყველაფერი იღონეს. უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის წარმომადგენლებმა მიზანს მიაღწიეს: მოჰამედ მაამოუდმა დავით კვერნაძეს სძლია – 6:4, 6:3 (ბოლო ორ შეხვედრაში თამაში იყო ორი მოგებამდე), ხოლო ომარ ჰედაიეტმა ლადო ჩიხლაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი 6:3, 6:2.

საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 3:2 და მეორე ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა, ეგვიპტელები კი ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ.

– თბილისში ჩამოსვლამდე ვიცოდით, რომ ქართველ ჩოგბურთელებთან დავმარცხდებოდით, – მიიხრა მატჩის შემდეგ სტუმართა კაპიტანმა ქარიმ ბალიმ. – [illegible] სამჯერ ვნახე ირაკლი ლაბაძის თამაში, შესანიშნავი ჩოგბურთელია. ბულგარელებთან წაგების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ მესამე ჯგუფში გადაბარგება არ აგვცდებოდა.

**– ალბათ, სამშობლოში დაბრუნებულებს მკაცრად გაგაკრიტიკებენ...**

– ეს ყველგან და ყოველთვის ასეა: იგებ – გაქებენ, აგებ – გაკრიტიკებენ, ცხადია, დასუსხვას ვერც ამჯერად ავცდებით, მაგრამ, მთავარია, თუნდაც ამ მარცხის შემდეგ, ეგვიპტის ჩოგბურთის ფედერაციამ სათანადო დასკვნები გამოიტანოს. ჩვენთან მთელი ფული ფეხბურთზე იხარჯება. ჩოგბურთი არ არის პოპულარული და ყურადღებაც ნაკლები ექცევა.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი გუნდის სახელით დიდი მადლობა ვუთხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას, ქალბატონ ლეილა მესხს გულთბილი მასპინძლობისთვის...

**გელა ელერდაშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** მეტოქეს, ფაქტობრივად, არ ვიცნობდი, მაგრამ საბოლოო წარმატება არ მეეჭვებოდა, ცხადია, უმთავრესად ლაბაძის ხარჯზე. როცა გუნდში ასეთი ხელრეტუმენი გყავს, იმედიანად ხარ. გაგვაკვირვა ირაკლი უშანგიშვილმა, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ეგვიპტელთა ლიდერს – ქარიმ მაამოუნს და, პირველი პარტიის წაგების მიუხედავად, საბოლოოდ გაიმარჯვა 3:1.

ეგვიპტის ნაკრების დამარცხებით ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში შევინარჩუნეთ ადგილი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პერსპექტიული გუნდი გვყავს და მომავალში შედეგებიც უკეთესი გვექნება, თუმცა თასამდე ჯერ ხელი არ მიგვიწვდება.

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: ლადო ჩიხლაძე კაპიტანთან (გელა ელერდაშვილი) ერთად კორტზე გასვლის წინ; დავით კვერნაძე ასპარეზობისას.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**




სანთელი



# კერა დაობლდა ძმის წასვლით

**„გოგელიების ოჯახს სამართლიანად უწოდებდნენ მოფარიკავეთა კერას. ძმები თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ და მოფარიკავეებს ხშირად გვიყვარდა მათს მყუდრო ეზოში თავშეყრა“, – იხსენებს „მოფარიკავის ჩანაწერებში“ ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი.**

მუშკეტერ ძმებზე – გიორგი, კონსტანტინე და არჩილ გოგელიებზეა საუბარი. უფროსმა ძმამ გიორგიმ ქართველ მოფარიკავეთაგან პირველმა მოიპოვა ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. შემდეგ მსოფლიოს ახალგაზრდულ მეგობრულ სპორტულ თამაშებზე აჯობა ყველას, საკავშირო ჩემპიონატში კი მესამე ადგილი დაიკავა.

შუათანა კონსტანტინემ საკავშირო პირველობებზე სამივე სინჯის მედალი დაიმსახურა. უმცროსი ძმა – არჩილი კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მესამე პრიზიორია.

სარბიელზე ერთად იყვნენ მუშკეტერი ძმები; არაერთხელ ერთადაც უასპარეზიათ სხვადასხვა ტურნირზე და წარმატებითაც. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც არ განელებიათ ფარიკაობისადმი სიყვარული. ოჯახურ წრეში თავმოყრისას საუბარი ფარიკაობით იწყებოდა და ფარიკაობით მთავრდებოდა. ხალისიანად იგონებდნენ გარდასულ დღეებს ძმები გოგელიები. ვაგლახ, რომ ამიერიდან კერაზე სევდა და ნაღველი დაისადგურებს – „სამ მუშკეტერს“ შუათანა ძმა – კონსტანტინე გამოაკლდა. დღეს მას სამუდამოდ მიაბარებენ მშობლიურ მიწას...

**კონსტანტინე გოგელიას** 15 წლისას დაუწყია დაშნით ფარიკაობა. თავად საშუალო ტანისა იყო, მაგრამ გოლიათ მეტოქეებსაც ჯაბნიდა – სხარტი და მოქნილი გახლდათ. ვარჯიში სულ რაღაც ორი წლის დაწყებული ჰქონდა, იუნიორთა საკავშირო პირველობაზე გუნდური შეჯიბრება რომ მოიგო, პირად პირველობაში კი მესამე ადგილი დაიკავა, 1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე ხუთეულში მოხვდა და საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს. 1958 წლის სსრკ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები სომხებთან ბრძოლას აგებდა (7:8) მესამე ადგილისთვის, სწორედ, კოტე გოგელიამ აღადგინა წონასწორობა და ჩხვლეტათა უკეთესი სხვაობით ბრინჯაოს მედალიც მოუტანა ჩვენს გუნდს.

უფროსი თაობის მოფარიკავეებისგან არაერთხელ გვსმენია, რომ კოტე გოგელია მოხდენილად, ლამაზად ფარიკაობდა, ზოგჯერ მოგებაზე მეტად ფარიკაობის ესთეტიკურ მხარეზე ფიქრობდაო. საფარიკაო ბილიკზე მუდამ კოხტად და კოპწიად ჩაცმული ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ასეთივე აკურატული იყო. უაღრესად კულტურლი და განათლებული პიროვნება დღენიადაგ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნავდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გეოლოგად მუშაობდა. ნამდვილმა პროფესიონალმა აქაც ისახელა თავი. კარგა ხანს საქართველოს ნაპირდაცვის საპროექტო ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა და ჩვენი ქვეყნის სანაპიროს ზღვის მიტაცებისგან ბრძოლაში უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. პროფესიული კვალი კუბასა და ალჟირსაც დაამჩნია.

წავიდა ჩვენგან უაღრესად თავმდაბალი პიროვნება, დიდი პროფესიონალი და სახელოვანი მუშკეტერი კოტე გოგელია, რომლის ნათელ ხსოვნას არასდროს დაივიწყებენ.

რაგბი

# ჰონკონგისაკენ – მალიორკის გავლით

**გაისად გაზაფხულზე ჰონკონგი შვიდკაცა რაგბში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ტურნირში ზედიზედ მეორედ იასპარეზებს საქართველოს ნაკრები, ეს ცნობილი გახდა მალიორკაში, სადაც ევროპის 16 საუკეთესო გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს შვიდი საგზურისთვის. ჩვენმა ბიჭებმა 3 ჯგუფში, ზედიზედ სძლიეს მოლდოვის (29:5), უკრაინის (21:19) და შოტლანდიის (24:14) წარმომადგენლებს. მეოთხედფინალში ბორჯღალოსანთა წინსვლა ირლანდიელებმა შეაჩერეს (26:12). მომდევნო ტურში საქართველოს ნაკრებმა რუსეთს სძლია 35:0 და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, იმის მიუხედავად, რომ ბოლო შეხვედრა ფრანგებთან დათმო 21:45 და მე-6 ადგილს დასჯერდა.**

ევროპული სერიის მთავარი პრიზი პორტუგალიელებმა მოიპოვეს, ფინალში მათ იტალიელებს მოუგეს 24:14, მესამე ადგილი შოტლანდიის მძლეველ (14:7) ირლანდიელებს ხვდათ.

საქართველოს ნაკრებმა ესპანეთში ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ირაკლი აბუსერიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ლექსო გუგავა, ირაკლი გიორგაძე, ლაშა ფირფილაშვილი, თედო ზიბზიბაძე, გია ლაბაძე, გიორგი კაჭარავა, აქსენტი გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მწვრთნელი – ზაზა ლექავა.

**ლექსო ცინცაძე.**

ჯილდო

# თემურ ლენგის ორდენი – მსოფლიო ჩემპიონს

**უზბეკეთში რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა ზეიმი რუსტამ კასიმჯანოვის მიერ მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებასთან დაკავშირებით – უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა კასიმჯანოვი სპორტული თავდადებისა და ვაჟკაცობისთვის ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი – „ამირ თემურის“ ანუ, ჩვენებურად, თემურ ლენგის (რომელსაც ევროპაში ტამერლანს უწოდებენ) ორდენით დააჯილდოვა.**

ამავე დროს, ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის გადაწყვეტილებით, ლიბიის ლიდერს მუამარ კადაფის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ეს უმაღლესი საჭადრაკო წოდება, ილიუმჟინოვის აზრით, იმით დაიმსახურა, რომ მან ფიდეს დიდი დახმარება გაუწია მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებაში. საბუთი დიდოსტატის წოდების მინიჭების შესახებ ილიუმჟინოვმა გადასცა ლიდერის შვილს მუჰამედ კადაფის, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტია.

ყოველი მხრიდან

## ლამაზმანი გოლიათით შეცვალეს

ქმრის „ავადმყოფობა“ გადაედო „ფორმულა-1“-ის პილოტის რალფ შუმახერის მეუღლეს – კორას. ის კარგა ხანს მონაწილეობდა გერმანიის ჩემპიონატის – Mini Challenge-ს რბოლებში. ახლახან 26 მონაწილეს შორის მე-14 ადგილზე გავიდა. მეორე რბოლაში კი ვეღარ ჩაება, ვინაიდან ინდიანაპოლისში რალფი მძიმედ დაშავდა.



„ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ რალფი გამოჯანმრთელდეს, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია!“ – განაცხადა კორამ.

სხვათა შორის გერმანული რბოლების ორგანიზატორებმა გამოძებნეს კორა შუმახერის შემცვლელი – ეროვნული კალათბურთის ასოციაციის ვარსკვლავი დირკ ნოვიცკი. საკითხავი მხოლოდ ისაა, როგორ უნდა ჩაეტიოს პატარა მანქანაში 211 სანტიმეტრის სიმაღლის გოლიათი?

**სურათზე: რალფ და კორა შუმახერები.**

## დასხდნენ წიგნისა წერადა...

სახელგანთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელებმა – ვინუს და სერენა უილიამსებმა ამჯერად გულშემატკივრების ყურადღება მიიპყრეს... ასპარეზობისთვის აუცილებელი სახელმძღვანელო – „როგორ ვითამაშოთ ჩოგბურთი“ დაწერეს.



როგორც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის საიტიდან ჩანს, ოკეანისგადაღმელმა დებმა თავიანთ წიგნში ძალიან ბევრ ასპექტზე შეაჩერეს ყურადღება – დაწყებული ჩოგბურთის ანა-ბანადან ურთულეს ტექნიკურ ელემენტებამდე.

მართალია, წიგნის ოფიციალური პრეზენტაცია მხოლოდ აგვისტოს ბოლოს, აშშ ღია ჩემპიონატის დროს გაიმართება, მაგრამ, როგორც გამოხმაურებები მოწმობენ, ის უკვე ძალზე პოპულარულ სახელმძღვანელოდ იქცა ამ თამაშის მოყვარულთათვის მთელს მსოფლიოში.

წიგნების წერა დების ახალი გატაცებაა, უწინ ისინი მსახიობობასაც ცდილობდნენ და დიზაინერობასაც.

**სურათზე: დები უილიამსები.**

**სს საკონტინენტთაშორისო კომერციული ბანკი „ლიბერტის“ სალიკვიდაციო კომისია, თანახმად კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 37-ე მუხლისა, აცხადებს აუქციონს**

გასაყიდად გამოტანილი იქნება:

ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, შენობის საერთო ფართია 914,46 კვ.მ, საწყისი საბაზრო ღირებულება 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონი ჩატარდება 2004 წლის 3 აგვისტოს ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. №2-ში სსკბ „ლიბერტის“ შენობაში დღის 12 საათზე.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 893 39-25-63 7-16-02.

# ბაღდადში თავს ესხმიან პოლიციელებს

**ერაყის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში პოლიციის უბანთან ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა ცხრა და დაშავდა 50-ზე მეტი კაცი, იტყობინებოდნენ ერაყის პოლიციის წარმომადგენლები.**

სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა დადებული იყო ავტომობილში. აფეთქება მოხდა ორშაბათს, ადგილობრივი დროით დილის 8 საათზე, როცა ქალაქის მცხოვრებლები სამუშაოზე მიდიოდნენ.

შაბათს, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, განხორციელდა თავდასხმა ერაყის იუსტიციის მინისტრზე, თუმცა იგი არ დაშავებულა. თავდამსხმელებმა ასევე აამოქმედეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ჩადებული იყო ავტომობილში.

გასულ კვირას 10 კაცი დაიღუპა დანაღმული ავტომობილის აფეთქების შედეგად. იგი გაჩერებული იყო კომპლექსთან, რომელშიც განლაგებულია ერაყის დროებითი მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო.

თვითმხილველთა თქმით, პოლიციის უბანთან აფეთქდა ბენზინმზიდი მაშინ, როცა სამართალდამცველები იწყებდნენ დილის ცვლას.

აფეთქებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მოთარეშეებმა ნაღმსატყორცნიდან გაისროლეს ბაღდადში ამერიკელთა სამხედრო კომპლექსის მახლობლად განლაგებული სახანძრო ნაწილის მიმართულებით. ამის შედეგად ერთი კაცი დაშავდა.

როგორც ბაღდადის ერთ-ერთმა საავადმყოფოს ექიმმა თქვა, ამ სამკურნალო დაწესებულებაში მიიყვანეს 55 დაჭრილი.

ერაყის პრემიერ-მინისტრმა აიად ალავიმ განაცხადა, რომ საკადრის პასუხს გასცემს ექსტრემისტებს, რომლებიც ასეთ თავდასხმებს ახორციელებენ.




# თვითმფრინავების გამტაცებლები ირანში „იმყოფებოდნენ“

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯონ მაკლოკლინმა განაცხადა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს თვითმფრინავების გატაცებაში მონაწილე რვა კაცი ირანის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, თუმცა ჯერჯერობით არ არის იმის მტკიცებულება, რომ ირანის ხელისუფლებაც გარკვეულწილად მონაწილეობდა შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ამ ტერაქტებში.**

ირანი აღიარებს, რომ თვითმფრინავების ზოგიერთი გამტაცებელი, შესაძლოა, მართლაც იმყოფებოდა მის ტერიტორიაზე, თუმცა, როგორც ირანის მხარე ამტკიცებს, მას შემდეგ ქვეყანაში გამკაცრდა სასაზღვრო კონტროლი.

ასეთი განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ გამოძიების დროს (მის შედეგებს კვირის ბოლოს გამოაქვეყნებენ) გაირკვა: ირანის პოლიციამ დართო „ალ-ყაიდას“ წევრებს ქვეყნის ტერიტორიაზე შეუფერხებლად გადაადგილების ნება, ხშირ შემთხვევაში მათ პასპორტებში შესაბამის ბეჭდებსაც კი არ ურტყამდნენ, რადგან ირანის საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელ შტამპს შეეძლო აღეძრა ამერიკელი მესაზღვრეების ეჭვი.

სხვა რეკომენდაციების გარდა, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების გარემოებათა გამომძიებელ კომისიას საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას მინისტრის პოსტი, რომელიც უხელმძღვანელებს ამერიკის ყველა სპეცსამსახურს. ამ იდეას გაგებით არ შეხვდრიან ცენტრალურ სადაზვერვო



სამმართველოში, რომლის დირექტორიც, ტრადიციისამებრ, მეთაურობს ამერიკის ყველა სადაზვერვო ორგანოს.

კონგრესის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ხუთი დემოკრატი და ამდენივე რესპუბლიკელი, ერთი წლისა და რვა თვის განმავლობაში მუშაობდა. კომისიის წევრებს ხელი მიუწვდებოდათ თითქმის ყველა საიდუმლო დოკუმენტზე, მაგალითად, ისეთებზე, როგორიც არის მოხსენებების ტექსტი, რომლებსაც ყოველ დილით უგზავნის პრეზიდენტს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, აგრეთვე, „ალ-ყაიდას“ ზოგიერთი დაპატიმრებული მოღვაწის დაკითხვათა ოქმები და უამრავი დახურული მასალა. კომისიის შემაჯამებელ მოხსენებას, რომელიც თითქმის 600 ფურცელს მოიცავს, მიმდინარე კვირის ხუთშაბათს გამოაქვეყნებენ, კერძოდ, მას განათავსებენ ინტერნეტში.

მანამდე კი გამოქვეყნებული იყო კომისიის აპარატის მიერ შედგენილი 17 წინასწარი მოხსენება. ამ მოხსენებებიდან, კერძოდ, ჩანს, რომ „ალ-ყაიდას“ თავდაპირველად დაგეგმილი ჰქონდა გაეტაცა არა ოთხი, არამედ ათი ავიალაინერი შეერთებული შტატების ორივე სანაპიროზე. მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოხერხდა მის ხელმძღვანელობაში მომხდარი უთანხმოების გამო.

კომისიამ „ალ-ყაიდას“ უშუალო მხარდაჭერის შესახებ ბრალდება მოუხსნა საუდის არაბეთს და უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს უსამა ბენ ლადენს მემკვიდრეობით მიეღოს 300 მილიონი დოლარი. უარყვეს, აგრეთვე, ვერსია იმის შესახებ, თითქოს საუდის არაბეთის ვაშინგტონის საელჩო ეხმარებოდა თვითმფრინავის გამტაცებლებს.

# დაიღუპა „ჰესბოლას“ თვალსაჩინო მოღვაწე

**ლიბანის დედაქალაქ ბეირუთის გარეუბანში მომხდარი მძლავრი აფეთქების შედეგად დაიღუპა გასამხედროებული დაჯგუფების „ჰესბოლას“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი ჰალიბა ავალი, როგორც ვარაუდობენ, აფეთქდა ავტომობილში დადებული ბომბი.**

თვითმხილველთა თქმით, მანქანა აფეთქდა მაშინ, როცა ჰალიბ ავალიმ ჩართო ძრავა.

ჯერჯერობით დაუდასტურებელი მონაცემებით, პასუხისმგებლობა აფეთქებისთვის იკისრა სუნიტთა გასამხედროებულმა დაჯგუფებამ ჯუნდ ალ-შამმა.

„ჰესბოლას“ დაჯგუფების კუთვნილმა „ალ-მანარის“ ტელეარხმა გადასცა კადრები, რომლებზეც აღბეჭდილია, თუ როგორ აფეთქდა მანქანა. ტელეარხის ეთერში ჰალიბ ავალის უწოდეს „ისლამური წინააღმდეგობის მოწამე“.

„ჰესბოლამ“ გადამწყვეტი როლი შეასრულა 2002 წელს ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანის საქმეში.

1992 წელს ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად მოკლეს „ჰესბოლას“ ლიდერი აბას მასავი.





# „გზის პირას“ საიდუმლო დოკუმენტები იპოვეს

**ბრიტანეთის პოლიცია ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ აღმოჩნდა ერთ-ერთი გზის პირზე საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ეხება ქვეყნის უდიდესი აეროპორტის – „ჰიტროუს“ უშიშროებას.**

გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც გაზეთმა „სანმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომლის ავტორიც ამტკიცებდა, რომ რედაქციამ მიიღო საიდუმლო მასალები ერთ-ერთი მძღოლისგან, რომელმაც ისინი „ჰიტროუს“ მახლობლად გამავალ ერთ-ერთ გზაზე იპოვა.

დოკუმენტები შეიცავს იმ 62 წერტილის ნუსხას, რომლებიდანაც შეიძლება აეროპორტიდან აფრენილი თვითმფრინავებისთვის რაკეტების დაშენა, აგრეთვე გადახურული გზებისა და ბოროტგამზრახველთა სავარაუდო უკანდასახევი გზების ჩამონათვალს.

გარდა ამისა, დოკუმენტებში იყო მონაცემები პოლიციის პატრულის მუშაობის განრიგის შესახებ, იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ სპეციალურად დაგეშილ ძაღლებს აეროპორტის მიდამოებში, აგრეთვე მონიშნული იყო სნაიპერების განლაგების ადგილები.

როგორც გაზეთი „სანი“ წერს, ეს დოკუმენტები ხელში რომ ჩაეგდოთ ტერორისტებს, მათ ექნებოდათ საუკეთესო სახელმძღვანელო ტერორისტული აქტების ორგანიზებისთვის.

მიმდინარე წლის 26 ივნისით დათარიღებული დოკუმენტები უკვე დაუბრუნეს პოლიციას.

ბრიტანეთის პოლიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ უკვე დაიწყო შიდა გამოძიება, თუმცა სამართალდამცველებმა არ ისურვეს ეთქვათ რაიმე კონკრეტული დოკუმენტების შინაარსის შესახებ.

„სკოტლენდ-იარდის“ წარმომადგენელს ასევე არ დაუდასტურებია, დოსიე შეადგინა CO-18 სპეციალურმა ქვედანაყოფმა, რომელიც უზრუნველყოფს „ჰიტროუში“ უშიშროებას. მან მხოლოდ ის თქვა, რომ დოკუმენტების შინაარსსა და მათი პოვნის ადგილს არ ამხელენ „უშიშროების მიზნებიდან გამომდინარე“.

გასულ წელს დაზვერვამ მოიპოვა მონაცემები იმის თაობაზე, რომ ბოროტგანმზრახველებს დაგეგმილი ჰქონდათ გადასატანი საზენიტო კომპლექსიდან გაეხსნათ ცეცხლი თვითმფრინავისთვის, რომელიც „ჰიტროუზე“ აპირებდა დაჯდომას. მაშინ აეროპორტის ტერიტორიაზე განალაგეს არმიის ქვედანაყოფები და გადასინჯეს ბრიტანეთის დედაქალაქის ამ საჰაერო-კარიბჭის უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა.

# მოკლედ

**დასავლეთ გერმანიას თავს დაატყდა მძლავრი გრიგალი. სტიქიური უბედურების ადგილზე წაქცეულია სამშენებლო კოშკურა ამწეები, ძირფესვიანადაა მოთხრილი ასობით ხე. გრიგალმა სახლებს მოხადა კრამიტის სახურავები.**

**დიდ ბრიტანეთში იხსნება უდიდესი საერთაშორისო ავიასალონი „ფარნბორო-2004“. თავის პროდუქციას ავიასალონზე მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა წარმოადგენს. რუსეთის საწარმოები გამოფენაზე გამოიტანენ ავიატექნიკისა და შეიარაღების 180 ნიმუშს, რომელთაგან 30 პირველად იქნება წარმოდგენილი.**

* * *

**ლიმა-კანტა-ლაჩაკის მარშრუტით მოძრავმა ავტობუსმა დაკარგა მართვა და 150 მეტრი სიღრმის ხეობაში გადაიჩეხა. ავარიის შედეგად დაიღუპა 15 და დაშავდა 30 კაცი. ეს ინციდენტი მოხდა პერუს დედაქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 კილომეტრზე.**

* * *

**ჩინეთმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის რეზოლუცია, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს ტაივანისთვის იარაღის მიწოდების გადიდებას. ჩინეთის ხელისუფლების აზრით, რეზოლუცია ქმნის მითს ჩინეთის მხრიდან ტაივანის მიმართ სამხედრო საფრთხის შესახებ, მისი ავტორები კი მოითხოვენ, რომ გაიზარდოს კუნძულისთვის იარაღის მიწოდების მასშტაბი და მნიშვნელოვნად ამაღლდეს ვაშინგტონ-ტაიბეის ურთიერთობა სამხედრო სფეროში.**

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 166, სამშაბათი, 20 ივლისი, 2004 წელი

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი — კომპიუტერები
დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი

| № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერი | ცალი | 150 |

გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის 25 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა, მიწოდების გრაფიკის და თანმდევი მომსახურების შესაბამისად. DDP პირობით შემდეგ მისამართზე–ქ. თბილისი ქიზიყის №5.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა ნოტარიუსიდან ან სასამართლოდან);

• უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2003 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2004 წლის **5 აგვისტოდან** 2004 წლის **6 აგვისტოს 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**380014, საქართველო, თბილისი, გენერალ გია გულუას №8,**
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,**
**სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-4 სართული, ოთახი 401.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2004 წლის **6 აგვისტოს**, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2003 წლის 12 აგვისტოდან 2004 წლის 13 აგვისტოს 14 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 380014, საქართველო, თბილისი, გენერალ გია გულუას №8, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო. სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-4 სართული, ოთახი 401

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 19 აგვისტო 14 საათი**. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 19 აგვისტოს 14 საათზე**. პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სატენდერო წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს მ. ზაზუა, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონებზე 99-91-83, 75-47-74.**

**სატენდერო კომისია.**

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი— სხვადასხვა სახის ქაღალდი
დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი

| № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | ქაღალდი 60 გრ. | კგ | 5 000 |
| 2 | ქაღალდი 70 გრ. | კგ | 5 000 |
| 3 | ქაღალდი A-4 80 გრ. | შეკვრა | 2 000 |

გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის 25 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა, მიწოდების გრაფიკის და თანმდევი მომსახურების შესაბამისად. DDP პირობით შემდეგ მისამართზე–ქ. თბილისი ქიზიყის №5.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა ნოტარიუსიდან ან სასამართლოდან);

• უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2003 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2004 წლის **5 აგვისტოდან** 2004 წლის **6 აგვისტოს 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**380014, საქართველო, თბილისი, გენერალ გია გულუას №8,**
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,**
**სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-4 სართული, ოთახი 401.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2004 წლის **6 აგვისტოს**, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2003 წლის 12 აგვისტოდან 2004 წლის 13 აგვისტოს 15 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 380014, საქართველო, თბილისი, გენერალ გია გულუას №8, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო. სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-4 სართული, ოთახი 401.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 19 აგვისტო 15 საათი**. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 19 აგვისტოს 15 საათზე**. პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სატენდერო წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს მ. ზაზუა, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონებზე 99-91-83, 75-47-74.**

**სატენდერო კომისია.**

## დაზუსტება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქრთველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2004 წლის 17 ივლისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილია შემდეგი სახის ცვლილებები:

| № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი | ლიტრი | 1 850 000 |
| 2 | დიზელის | ლიტრი | 500 000 |
| 3 | ავიანავთი ტს-1. | ლიტრი | 150 000 |

bp btc SCP South Caucasus Pipeline

# პრეს-რელიზი

## BP-მ გააფორმა კონტრაქტები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში

BP-ს, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის საექსპორტო მილსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერატორ კომპანიას, აქვს პატივი განაცხადოს, რომ 2004 წლის ივნისში, კომპანიამ გააფორმა კონტრაქტი ტენდერში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან "სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან" ("NACRES"), რომელიც განახორციელებს "საქართველოში ეკოსისტემების და სახეობათა კონსერვაციის – მურა დათვის დაცვის პროექტს". ეს არის მეორე კონტრაქტი, რომელიც გაფორმდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების პროექტების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ბიომრავალფეროვნების განვითარებისა და კონსერვაციის თვალსაზრისით სარგებლობის მომტანია. 3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა დაყოფილია რამდენიმე მიმართულებად, რომელიც გამოიკვეთა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის ჩატარებული კვლევების და ქართულ და უცხოურ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან კონსულტაციების პროცესში. ასეთ მიმართულებებს განეკუთვნება იშვიათ სახეობათა კონსერვაციის მენეჯმენტი; სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარება; არასამთავრობო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების გაზრდა, გარემოსდაცვით საკითხებში გათვითცნობიერება და სხვა.

იშვიათი სახეობების კონსერვაციის მენეჯმენტის სამუშაოს შესრულებაზე სატენდერო წინადადებების მოწვევა გამოქვეყნდა 2003 წლის სექტემბრის ბოლოს. ტენდერზე მოწვევა კონკრეტულად შეეხებოდა კავკასიური როჭოს და მურა დათვის კონსერვაციის მენეჯმენტის ღონისძიებებს, თუმცა ასევე განხილულ იქნა წინადადებები სხვა იშვიათი სახეობების შესახებ, თუკი ისინი მილსადენის პროექტს უკავშირდებოდა. 2004 წლის იანვარში არასამთავრობო ორგანიზაციასთან - "საქართველოს ველური ბუნების კონსერვაციის ცენტრთან" – გაფორმდა კონტრაქტი კავკასიური როჭოს კვლევის, მონიტორინგის და კონსერვაციის ღონისძიებათა მენეჯმენტის პროექტის განხორციელების მიზნით.

განხილვის პროცესში ზემოთ ხსენებული მიმართულების ფარგლებში დაფინანსებისთვის ამჯერად შეირჩა "საქართველოში ეკოსისტემების და სახეობათა კონსერვაციის – მურა დათვის პროექტი". პროექტისთვის გამოყოფილი გრანტი შეადგენს 250000 აშშ დოლარს.

პროექტი გულისხმობს მურა დათვის პოპულაციების პარამეტრების დადგენას თრიალეთის ქედზე, საფრთხეების არსებული დონის განსაზღვრას, დათვის ჰაბიტატის დაკარგვის გამომწვევი მიზეზების აღწერას, თრიალეთის ქედზე დათვის კონსერვაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, კონსერვაციის ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართვისათვის საფუძვლების მომზადებას.

პროექტს განახორციელებს "სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი" ("NACRES") – არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1989 წელს და მიზნად ისახავს: ბიომრავალფეროვნების, განსაკუთრებით, გადაშენების პირას მყოფი ჯიშების, კვლევას და დაცვას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში და საზოგადოებაში განათლების დონის ამაღლებას გარემოს დაცვის საკითხებში.

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა დაიწყო 2004 წლის ივნისში და დასრულდება 2006 წლის მაისში.

ჩვენი ღრმა რწმენით, გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა BP-ს და გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ პოზიტიური ცვლილებები მოახდინონ საქართველოს ველური ბუნების დაცვის სფეროში.

**რედაქტორის შენიშვნა:**

**BTC Co.**-ს აქციონერები არიან: **BP (30.1%); SOCAR (25.00%); Unocal (8.90%); Statoil (8.71%); TPAO (6.53%); Eni (5.00%); Total(5.00%), Itochu (3.40%); INPEX (2.50%), ConocoPhillips(2.50%)** და **Amerada Hess (2.36%).**

**SCP**-ს აქციონერები არიან: **BP (25.5%), Statoil (25.5%), LukAgip (10%), SOCAR (10%),TPAO (9%), TFE (10%), NICO (10%).**

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ:**
**კომუნიკაციის დეპარტამენტი, BP საქართველო**
**Tel: (995 32) 59 34 00**
**Fax:(995 32) 59 34 80**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

### სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი.

საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია

(IDA) და გარემოს გლობალური დაცვის ფონდი (GEF). 2001 წლის თებერვალში პროექტი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და გახდა ეფექტური. პროექტი განხორციელდება სამი მიმართულებით: ა) საკონკურსო გრანტების სისტემა ხელს შეუწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და სწავლების სისტემის რეფორმა განხორციელდება შერჩეული მაღალ პრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; გ) გარემოს დაბინძურების შემცირება, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის მართვას და კოორდინირებას ახორციელებს პროექტის ტექნიკური ჯგუფი, რომელიც მოქმედებს, როგორც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის განუყოფელი ნაწილი.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის განხორციელება ამჟამად სრული დატვირთვით მიმდინარეობს. შექმნილია და ინტერნეტში განთავსებულია პროექტის „ვებ" გვერდი (www). აუცილებელია „ვებ" გვერდის მუდმივი განახლება და გამდიდრება ახალი ინფორმაციით.

კონსულტანტის ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის „ვებ" გვერდის „ინტერნეტ" ქსელში არსებობის (hosting) უზრუნველყოფა, მისი რეგულარული განახლება და შევსება ახალი ინფორმაციით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკურ პირებს აღნიშნულ მომსახურებისათვის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV) დიპლომებისა და სერტიფიკატების ასლებთან ერთად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მინიმალური კრიტერიუმები:

– საუნივერსიტეტო ხარისხი გამოყენებითი მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებისა და სხვა შესაბამის დისციპლინებში:

– „ვებ" გვერდის შექმნის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება:

– ტექნოლოგიური გზებით ახალი გადაწყვეტილებების მიღების გამოცდილება;

– პრობლემების მოგვარებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

დროებითი ადგილობრივი კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ" დებულებების შესაბამისად.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2004 წლის 4 აგვისტოს 16 საათამდე.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.**
**საქართველო, თბილისი, 0123 კოსტავას 41,**
**მე-3 სართული, ოთახი 338, ტელ-ფაქსი: 93-46-51.**
**ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს ღია ტენდერს აპარატის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისთვის საწვავი მასალების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესასყიდია 64500 ლიტრი საწვავი. მათ შორის:**
**– ბენზინი სუპერი 98 – 19500 ლიტრი;**
**– ბენზინი პრემიუმი 95 – 45000 ლიტრი;**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საწვავი მასალების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, შესაბამისი საწვავის ბარათებით. ბენზინი სუპერი 98-ის და ბენზინი პრემიუმი 95-ის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგური. სასურველია ავტოგასამართი სადგური მდებარეობდეს ქალაქის ცენტრალურ რაიონებში.

ანგარიშსწორება განხორციელდება ტექნიკური დავალების საფუძველზე მოთხოვნილი საქონლის მიწოდებიდან 10 დღის ვადაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 4 აგვისტოს 10 საათიდან 5 აგვისტოს 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს **9 აგვისტოს 17 საათისა,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **ხ. ზოზოხია – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი – 93-45-69 და რ. ზელბახიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-53-26, მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.**

**სატენდერო კომისია.**

## სსიპ „დიპლომატის" განცხადება სახელმწიფო შესყიდვების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ

სსიპ „დიპლომატის" მიერ საავტომობილო საწვავის დახურული ტენდერის წესით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს „იბერ კომპანი ჰოლდინგი", რომელთაგანც 2004 წლის 15 ივნისს დადებულ იქნა შესაბამისი ხელშეკრულება.

სსიპ „დიპლომატის" მიერ საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურების, დახურული ტენდერის წესით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კომპანია „გლობალ ერთი", რომელთაგანაც 2004 წლის 17 ივნისს დადებულ იქნა შესაბამისი ხელშეკრულება.

საქართველოს რესპუბლიკა — ცნობის ფურცელი

№ 166. სამშაბათი. 20 ივლისი. 2004 წელი

# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს შენობების დაცვის მომსახურების შესყიდვაზე.**

| ლოტი № | ობიექტი |
|---|---|
| 1 | საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა – თბილისი, აბზიანიძის ქ №2, |
| 2 | ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა – თბილისი, ი. აბაშიძის №70 |
| 3 | ფინანსური პოლიციის შენობა – თბილისი, დადიანის №30, |
| 4 | ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის შენობა – თბილისი, ბაღდათის ქ. №8, |
| 5 | საგადასახადო დეპარტამენტის შენობა – თბილისი, პ. იაშვილის ქ. №4, |
| 6 | ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის შენობა – თბილისი, ბარათაშვილის №8, |

მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2004 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

• უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

• უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2004 წლის 4 აგვისტოდან 2004 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სამსახური**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2004 წლის 12 აგვისტოს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2004 წლის 16 აგვისტოდან 2004 წლის 17 აგვისტოს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 14 საათი**. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 14 საათზე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს შოთა ჭანტურიძეს და ირაკლი ათანასოვს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 23-51-17.

**სატენდერო კომისია.**

---

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საბანკო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

შესყიდვის ობიექტი: საბაჟო ორგანოებში შემოსული ფულადი სახსრების აკრეფა, მათი გადაზიდვა და შესაბამისი საბაჟო ორგანოების ეროვნული ბანკის ანგარიშზე ჩარიცხვა.

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2004 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

• შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის დამოწმებული ასლი (ეროვნული ბანკიდან);

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2004 წლის 4 აგვისტოდან 2004 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სამსახური**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2004 წლის 12 აგვისტოს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2004 წლის 16 აგვისტოდან 2004 წლის 17 აგვისტოს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 17 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 17 საათზე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს შოთა ჭანტურიძეს და ირაკლი ათანასოვს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 23-51-17.

**სატენდერო კომისია.**

---

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობების და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე.**

| ლოტი № | ობიექტი |
|---|---|
| 1 | საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა – თბილისი, აბზიანიძის ქ №2, |
| 2 | ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა – თბილისი, ი. აბაშიძის №70 |
| 3 | ფინანსური პოლიციის შენობა – თბილისი, დადიანის №30, |
| 4 | ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის შენობა – თბილისი, ბაღდათის ქ. №8, |
| 5 | საგადასახადო დეპარტამენტის შენობა – თბილისი, პ. იაშვილის ქ. №4, |
| 6 | ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის შენობა – თბილისი, ბარათაშვილის №8, |

მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2004 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

• უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

• უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2004 წლის 4 აგვისტოდან 2004 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სამსახური**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2004 წლის 12 აგვისტოს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2004 წლის 16 აგვისტოდან 2004 წლის 17 აგვისტოს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 12 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 12 საათზე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს შოთა ჭანტურიძეს და ირაკლი ათანასოვს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 23-51-17.

**სატენდერო კომისია.**

---

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი – მოწყობილობათა მიმდინარე შეკეთება.**

| ლოტი № | ობიექტი |
|---|---|
| 1 | კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება |
| 2 | კარტრიჯის დატენვა-აღდგენა |
| 3 | ასლგადამღები ტექნიკის შეკეთება, დატენვა |

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2004 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

• მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

• მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

• უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

• მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

• უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

• ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

• ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2004 წლის 4 აგვისტოდან 2004 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სამსახური**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2004 წლის 12 აგვისტოს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2004 წლის 16 აგვისტოდან 2004 წლის 17 აგვისტოს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 16 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე **2004 წლის 3 სექტემბრის დღის 16 საათზე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს შოთა ჭანტურიძეს და ირაკლი ათანასოვს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 23-51-17.

**სატენდერო კომისია.**

---

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესასყიდად

**შესყიდვის ობიექტებია:**

| № | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფქვილი I ხარისხის | კგ. | 124000 | ქ. თბილისი |
| 2 | ფქვილი II ხარისხის | კგ. | 80000 | ქ. თბილისი |
| 3 | პური I ხარისხის | კგ. | 20000 | ქ. თბილისი |
| 4 | პური II ხარისხის | კგ. | 12000 | ქ. თბილისი |
| 5 | საფუარი | კგ. | 280 | ქ. თბილისი |
| 6 | წიწიბურა | კგ. | 12000 | ქ. თბილისი |
| 7 | მანანის ბურღული | კგ. | 4400 | ქ. თბილისი |
| 8 | ქერის ბურღული | კგ. | 4400 | ქ. თბილისი |
| 9 | ფეტვის ბურღული | კგ. | 4400 | ქ. თბილისი |
| 10 | ბარდა ხმელი | კგ. | 4400 | ქ. თბილისი |
| 11 | მაკარონის ნაწარმი | კგ. | 20000 | ქ. თბილისი |
| 12 | ბრინჯი | კგ. | 20000 | ქ. თბილისი |
| 13 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 36000 | ქ. თბილისი |
| 14 | ზეთი მცენარეული | კგ. | 6000 | ქ. თბილისი |
| 15 | შედედებული რძე | კგ. | 20000 | ქ. თბილისი |
| 16 | შაქარი | კგ. | 22000 | ქ. თბილისი |
| 17 | მარილი | კგ. | 7200 | ქ. თბილისი |
| 18 | კარაქი | კგ. | 9600 | ქ. თბილისი |
| 19 | სიგარეტი უფილტრო | კოლოფი | 116000 | ქ. თბილისი |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) 2004 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ საქონლის წინასწარ განსაზღვრული მოცულობით და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად DDP პირობით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ცენტრალური ბაზა, ქიზიყის ქუჩა № 1.**

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე) შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა № 12, 2004 წლის 3 აგვისტოდან 4 აგვისტოს დღის 17 საათამდე.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისთვის:**

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

**ფიზიკური პირებისთვის:**

– ცნობას უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვების მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ 2004 წლის 9 აგვისტოდან 13 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა № 12. სატენდერო მოსაკრებლის თანხა უნდა ჩაირიცხოს: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (კოდი 1512), ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ა/ა 000141408.**

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

**დამატებით ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს თეიმურაზ სხირტლაძეს, ტელეფონის ნომერი: 899-55-56-57.**

---

## სს „შავი ზღვის აუქციონის" ბანკის სალიკვიდაციო კომისია თანახმად კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 37-ე მუხლისა აცხადებს აუქციონს

**გასაყიდად გამოტანილი იქნება:**

1. ქ. ბათუმში, ე. თაყაიშვილის ქუჩა №13-ში მდებარე ბანკის ხუთსართულიანი ქვის კაპიტალური შენობა. დაკავებული ფართი 725,63 კვ. მ., საწყისი გასაყიდი ფასი 255000 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

2. ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის ქ. №122-ში მდებარე ბანკის ორსართულიანი, კაპიტალური, ცალკე მდგომი შენობა დაკავებული ფართი 611,1 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, საწყისი გასაყიდი ფასი 90000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ბიჯი 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

3. ქ. ქობულეთში რუსთაველის ქ. №138ა-ში მდებარე ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე განლაგებული 210 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი გასაყიდი ღირებულება 21000 (ოცდაერთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ბიჯი 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონი ჩატარდება 2004 წლის 5 აგვისტოს 12 საათზე, ქ. ბათუმში, ე. თაყაიშვილის ქ. №13-ში სს „შავი ზღვის აუქციონის" ბანკის შენობაში მე-2 სართულზე.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ
ტელ: 893 39-25-63. 7-16-02.

### ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**გასული საუკუნის თბილისელების ერთ-ერთი საუკეთესო წყვილი მერცია მახარაძე და მერაბ (ბუტა) მღებრიშვილი.**

**მოგვაწოდა ნიკოლოზ ნეფედოვმა.**

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

### ცოტაც გავიღიმოთ...



— გაიგე, რომ მშენებლობაზე გიმუშავია, — ეუბნება ნიკა მიხოს. რას აკეთებდი იქ?

— რა ვიცი, ხან აგურს დავათრევდი, ხან — ცემენტს, ხანაც — ბლოკს თუ ფიცარს...

— ქვიშას არ ათრევდი?

— არა, ძალიან ცუდად იყიდებოდა...

* * *

გინდა ჩაეკონო სხეულს? სახე დაგიწვას ცხელმა სუნთქვამ? ქანცის გაცლისგან გაოფლიანდე? პოზიციები შეიცვალო? შეხვიდე, გამოხვიდე, წინ და უკან იმოძრაო? შენ მართლა გინდა ეს? რა პრობლემაა? — ჩაჯექი ავტობუსში პიკის საათისას!

* * *

სამსახურიდან დაბრუნებული ცოლი გაკვირვებული უყურებს მიხოს, რომელიც ბუზის საკლავით ოთახში დარბის.

— რას შვრები, მიხო?

— ვერა ხედავ, რასაც ვშვრები? ბუზებსა ვკლავ!

— მერე, ბევრი დახოცე? — ირონიულად ეკითხება ცოლი.

— სამი მამალი და ორი დედალი!

— კი, მაგრამ მათი სქესი როგორლა გაარჩიე?

— სამი ლუდის კათხაზე იჯდა, ორი კი — ტელეფონის ყურმილზე.

* * *

— მიხო, ოჯახში როგორა ხარ, ხომ არ გჩაგრავენ? — ეკითხება ძმაკაცი.

— რას ჰქვია მჩაგრავენ, ცოლშვილი და სიდედრიც კი ჩემს დანახვაზე კანკალებენ, მაგრამ ძროხის მოწველამ შემიკლა ხელში...

### ზაფხულის ფოტოობიექტივი

# რომ ნაკლები სევდა ახლდეს ბავშვურ სიხალისეს

(პირველი გვერდიდან)

— აღსაზრდელებზე ზრუნვას დიდი ძალისხმევა, საქმეში მთელი სულის და გულის ჩადება სჭირდება, — მესაუბრება ქალბატონი მანანა, — ისინი ჯერჯერობით ერთ მთლიან ოჯახად ცხოვრობენ, სულ 120 ბავშვი გვყავს, ჩვენ კი ვალდებული ვართ, ისე აღვზარდოთ ისინი, ისეთი უნარ-ჩვევებით შეიარაღებული გავუშვათ ცხოვრების ფართო გზაზე, რომ მომავალს იმედის თვალით უმზირონ.

ჩვენთან აღსაზრდელები, ძირითადად, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან 3 წლის ასაკიდან გადმოჰყავთ და ისინი 14 წლამდე აქ ცხოვრობენ. შემდეგ — კოჯრის ან მარტყოფის ბავშვთა სახლებში ანაწილებენ. ამ ყმაწვილებს შორის ბევრია ისეთი, რომლებსაც ოჯახები მძიმე მატერიალური და სოციალური პირობების გამო, ბავშვთა სახლში დროებით ტოვებენ, თუმცა, მათ მშობლები ხშირად აკითხავენ.

ბავშვთა სახლის დირექტორი ამბობს, რომ პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს, ყოველმხრივ განუვითაროს აღსაზრდელებს ინტელექტუალური დონე, შექმნას მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის შესაფერისი პირობები. აქ დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშვების რელიგიურ აღზრდას, აღმზრდელი მანანა დოდაშვილი გოგონებს ხელსაქმესაც ასწავლის.

ყმაწვილებს მალე ბათუმში დასასვენებლად წაიყვანენ. რასაც ცუგრუმელები მოუთმენლად მოელიან.

მთელ მსოფლიოში მოწინავე, განვითარებული ქვეყნები ცდილობენ, რომ ინსტიტუციონალური დაწესებულებები შემცირდეს და თანდათან სულაც გაუქმდეს, რომ ყმაწვილები კოლექტიურად კი არ ცხოვრობდნენ, არამედ ოჯახურ გარემოში აღიზარდონ. ამისთვის საგანგებო პროგრამები ხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა — „არც ერთი ბავშვი უყურადღებოდ“ საქართველოშიც მოქმედებს. მისი მიზანია, რომ თითოეული ბავშვი ოჯახურ გარემოში გაიზარდოს (გაშვილება, შვილობილობის ინსტიტუტი, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება და მათი ხელშეწყობა), ეზიაროს, შეეჩვიოს ოჯახურ ცხოვრებას, რომ მომავალში სრულფასოვან ადამიანად იგრძნოს თავი. მანამდე კი, სანამ პროგრამა საბოლოოდ განხორციელდება, წყნეთის ბავშვთა სახლზე, ძირითადად, დედაქალაქის მერია ზრუნავს, გამოყოფს თანხებს მისი მატერიალური ბაზის უზრუნველსაყოფად. მერიის თაოსნობით





ხშირად იმართება სხვადასხვა კულტურული და გასართობი ღონისძიებები. ყმაწვილებს ხშირად სტუმრობენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მიაქვთ პროდუქტები, ტანსაცმელი, წიგნები და სათამაშოები. ყველა ცდილობს, რომ ბავშვებს სითბო და მზრუნველობა აგრძნობინონ, სიხარული მიანიჭონ.

**თამარ ჩიტაშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

P. S. წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გუშინ ბათუმში დასასვენებლად წაიყვანეს, რასაც პატარები მოუთმენლად ელოდნენ.

**სურათებზე: პატარების საყვარელი სასრიალო მუდამ „დაკავებულია“; აბა, ვინ რას დახატავს, აგულიანებენ ბავშვებს აღმზრდელი პედაგოგი გულნარა ბრელიძე და ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე ნაზი მამალაძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი.**

### გიხაროდენ!

## ეკა და მაკა მამალაძეები დაბადებულან



ჯერ ერთი ბავშვის დაბადებას რა სიხარული მოაქვს და ორის ერთად შეძენა ხომ ნამდვილი დღესასწაულია. ასეა ჩვენს ოჯახშიც, 17 ივლისს ჩემს რძალს ელენე პეტრიაშვილს და ძმას კოტე მამალაძეს ტყუპი გოგონა შეეძინათ. პატარებს ეკა და მაკა დაარქვეს. ორივე ჯანმრთელი და ლამაზია. ერთმანეთს საოცრად ჰგვანან. დედა და შვილებს მალე შინ მოიყვანენ და პატარებს ყველანი „გავიცნობთ“.

პირველ „შვილებს“ ვულოცავ ელენეს და კოტეს. ჯერ 23 წლისანი არიან და კიდევ მრავალი შვილით გაიხარონ და გაგვახარონ. მათ ლამაზ ოჯახს სიხარული და ბედნიერება უმრავლოს ღმერთმა.

**კესო მამალაძე.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

### ხსოვნა

## მიშა ფეიქრიშვილი



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა აკად. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ არტემის ძე ფეიქრიშვილი. მიშა ფეიქრიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1948 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1973 წელს მან დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1973-1982 წლებში ის მუშაობდა მოსკოვში ჯერ ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტში, შემდგომ ექიმთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში ბიოქიმიის კათედრაზე. 1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მიშა ფეიქრიშვილი მუშაობდა რადიოიმუნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში.

1979 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში. არის მრავალი სამეცნიერო შრომის და 2 გამოგონების ავტორი. მან პირველმა საქართველოში დანერგა რადიოიმუნოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდები პერინატოლოგიაში და მეანობა-გინეკოლოგიაში. ძირითადი პრობლემა, რომელსაც ბატონმა მიშამ მიუძღვნა თავისი მეცნიერული შრომები, იყო სამედიცინო ენზიმოლოგია. ღვიძლის ფერმენტების ბიოქიმიური თვისებების კვლევა: ორსულობისა და მშობიარობის დროს პეპტიდური ჰორმონების დინამიკა დედისა და ნაყოფის ორგანიზმში და სხვ.

მიშა ფეიქრიშვილი იყო უაღრესად განათლებული ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება, ჭეშმარიტი მეგობარი, კეთილსინდისიერი მკვლევარი. მისმა უდროოდ წასვლამ გული დაწყვიტა ინსტიტუტის კოლექტივს და მის მარვალრიცხოვან პაციენტებს.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია;**
**ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი.**

### ბოლო აკორდები

# ფესტივალო, გაისამდე!

## ბორჯომში დასრულდა „ხელოვნების ზეიმი“



(პირველი გვერდიდან)

ფესტივალის ბოლო კონცერტები ისეთივე მაღალი შემოქმედებითი სულით იყო დამუხტული, როგორც პირველი საღამოები, როცა აუდიტორიის წინაშე ლიანა ისაკაძესთან ერთად ისეთი თანავარსკვლავედი წარსდგა, როგორიც იყვნენ დიმიტრი სიტკოვეცკი, ალექსანდრე კნიაზევი და მაქსიმ ვენგეროვი. ბოლო დღეები ორიგინალური საღამოებით დაიტვირთა, მაგალითად, ლიანა ისაკაძის გამოსვლა რუსეთის „ბალალაიკა ტრიოსთან“ ერთად, რომლის შემადგენლობაში შესანიშნავი მუსიკოსები ნადეჟდა ბურდიკინა, იგორ სენინი და იური პუტინი იყვნენ, გარდა საკუთარი რეპერტუარისა, რომელიც რუსულ ხალხურ სიმღერებზე იყო აგებული, მათ ლიანა ისაკაძესთან ერთად აახმიანეს პაგანინის სონატები ვიოლინოსა და გიტარისთვის, რომელიც ბალალაიკებისთვის გადაამუშავა იგორ სენინმა. ამან ახალი ნიუანსი შეიტანა პროგრამაში და კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა სერიოზულად აგებს ყოველ პროგრამას ლიანა ისაკაძე, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ყოველი მისი გამოსვლა რაოდენ განცვიფრებას იწვევს და რაოდენ სიამაყის გრძნობით გავსებს. ლიანა ისაკაძის, როგორც ჩვენი დროის უდიდესი შემსრულებლის ფენომენზე დღეს ყველა საუბრობს, თავად გამოჩენილი უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლები მოწიწებით ხრიან თავს მისი ნიჭიერების წინაშე.

ერთ-ერთი მძლავრი აკორდი იყო ჯაზ-ტრიოს გამოსვლა ასეთი შემადგენლობით: განელინი-ტარასოვი-ჩეკასინი (ლიტვა-ისრაელი). ჯაზური იმპროვიზაციის თაყვანისმცემლებმა ნამდვილად დაიკმაყოფილეს ინტერესი. ამ საღამოს შესახებ თავად ვლადიმერ ტარასოვი (დასარტყამი ინსტრუმენტები) იტყვის:

„ასეთი მაღალი დონის პუბლიკა იშვიათია, ხალხი ყოველ ნიუანსს გრძნობდა. დარბაზსა და ჩვენს შორის უხილავ ხიდს, თუ გნებავთ, ტალღას სცენისკენ მოჰქონდა კეთილი აურა, არც მიკვირს, ქართველი კაცი ხომ დიდ მუსიკალურ კულტურაზეა აღზრდილი“.

დასკვნით საღამოზე საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა დირიჟორ გიორგი ბაბუაძის ხელმძღვანელობით პირველ განყოფილებაში ქართული მუსიკა აჟღერა. აქ მართებულია ვთქვათ, რომ საფესტივალო პროგრამის ხორცშესხმის მთელმა სიმძიმემ არსებითად ამ ორკესტრის ზურგზე გადაიარა. იგი მთელი დატვირთვით მუშაობდა ამ ათი დღის განმავლობაში, ორკესტრი ყოველთვის იყო დაკომპლექტებული ნიჭიერი მუსიკოსებით, ასეა ახლაც, გადახალისებულ კოლექტივს საუცხოო დირიჟორი ჰყავს გიორგი ბაბუაძის სახით. ქართული მუსიკა საღამოზე წარმოდგენილი იყო კომპოზიტორების ნოდარ მამისაშვილის სამი პიესით სიმებიანი ორკესტრისთვის, სულხან ცინცაძის „მინიატურებით“, ნოდარ გაბუნიას „იგავეით“ და ვაჟა აზარაშვილის „ნოქტიურნით“, თუმცა ამ უკანასკნელის გარდა ამ საღამოს აჟღერდა კომპოზიტორის ორი ახალი ქმნილება „მხიარული ატრაქციონი“ და „ვალსი-მოგონება“. აუდიტორიამ ოვაციით დააჯილდოვა ვაჟა აზარაშვილი და ბისზე „ვალსის“ გამეორება მოითხოვა.

საღამო დააგვირგვინა მიხეილ ოვრუცკიმ, სანკტ-პეტერბურგის ლიანა ისაკაძის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის მფლობელმა ჭეშმარიტად ნიჭიერი მუსიკალური კულტურის ახალგაზრდამ, ფაქიზი და მდიდარი გამომსახველი ბგერით თუ ტექნიკით, რომელმაც უდავოდ დიდი მომავლის მუსიკოსის პერსპექტივები გამოაჩინა.

შეიძლება თქმა, რომ „ხელოვნების ზეიმი“ მაღალ ნოტებზე დასრულდა. გარდა იმისა, რომ მან დიდი სულიერი საზრდო მისცა ხელოვნების თაყვანისმცემლებს, მასთან განშორებას სევდაც მოჰყვა და იმის შიშიც, რა იქნება გაისად. ამის საფუძველი მათ მისცათ ფესტივალისწინა ხმაურიანმა დღეებმა, რომლის შესახებაც მკითხველი ინფორმირებულია. და რომ არა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია და მისი პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რა ელოდა წლევანდელ ფესტივალს. ლიანა ისაკაძემ და მადლიერმა აუდიტორიამ ფეხზე ადგომითა და ტაშით პატივი მიაგო ამ შესანიშნავ ქველმოქმედს.

აი როგორ აფასებს ლიანა ისაკაძე ფესტივალს: „გული მიგრძნობდა, რომ მესამე ფესტივალი მრავალფეროვანი იქნებოდა და კარგად ჩაივლიდა. ერთხანს შევშინდი, ვაითუ ჩაიშალოს-მეთქი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. კონცერტებზე შესამჩნევად ბევრი ხალხი დადიოდა. ეს დიდი პროგრესია. მსმენელიც უფრო შემზადებული იყო სერიოზული მუსიკისთვის. მიხარია, რომ დარბაზში ახალგაზრდობა სჭარბობდა. როცა პოლიტიკური სიტუაცია გამწვავდა ცხინვალის რეგიონში, გავიფიქრე, რა დროს ფესტივალია-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ სწორედ ახლა იყო საჭირო, ადამიანი სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავარდეს, მას წამალი, დოპინგი სჭირდება, და ამ ფუნქციის შესრულება ხელოვნებას შეუძლია.

ორგანიზაციული მხარეც წლეულს უკეთესად გამოიყურებოდა, რაც მანანა დავითაშვილის დამსახურებაა. გული მტკივა, რომ ბევრმა ვერ გაიგო რა შრომატევადი სამუშაო შეასრულა მთელი წლის განმავლობაში მან და საორგანიზაციო კომიტეტმა. ქალბატონი მანანა არაჩვეულებრივი მენეჯერია“.

ბორჯომის „ხელოვნების ზეიმმა“ თვალნათლივ დაგვანახა, რაოდენ პატივს სცემს ქართული საზოგადოებრიობა ჭეშმარიტ ხელოვნებას, რაოდენ ღირებულია მისთვის არა მხოლოდ მშობლიური შემოქმედება, არამედ საერთოდ მსოფლიოს ხელოვნება და მისი საუკეთესო წარმომადგენლები. ფესტივალი სწორედ პოტენციური საქართველოს და მისი სულიერი სამყაროს შესაფერის დონეზე გაიმართა.

**რუსუდან მუხიგულაშვილი,**
**ბორჯომი — თბილისი.**

**სურათებზე: ფესტივალის მასპინძელი ბორჯომის კომპოზიტორთა სახლი; საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი; დირიჟორი გიორგი ბაბუაძე; მაყურებელთა დარბაზში.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**







---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, პირადად ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი თანაუგრძნობენ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტს არჩილ გოგელიას ძმის

კონსტანტინე გოგელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, პირადად ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი, სამძიმარს უცხადებენ გაზეთ „სარბიელის“ გამომცემელს ზურაბ ფოცხვერიას სიმამრის

კონსტანტინე გოგელიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ლალი გოგელიას მაზლის

კოტე გოგელიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს არჩილ გოგელიას ძმის

კონსტანტინე (კოტე) გოგელიას

გარდაცვალების გამო.

მერაბ ბერძენიშვილი.

---

მეგობრები ჯემალ გაგუნაშვილი, ვაჟა კილურაძე, ლეო მირცხულავა, ჯემალ საღინაძე თანაუგრძნობენ გოგი და არჩილ გოგელიებს ძმის

კოტე გოგელიას

გარდაცვალების გამო.

---



შვილი დათო იოვაშვილი, რძალი ირინა ნაჭყებია, შვილიშვილი ნინო, სიძე გოგა გიგოლაშვილი, ძმისწულები თედო, მაია ჯაფარიძეები ოჯახებით, დისწულები ნანა, მარიკა კერესელიძეები ოჯახებით, მძახლები რეზო, თამარ ნაჭყებიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზანდა ჯაფარიძე

პანაშვიდი 20, 21 VII 17 სთ, დაკრძალვა 22 VII 15 სთ. იაკობ ნიკოლაძის 7, I სადარბაზო.

---

საქართველოს შსს შინაგანი ჯარების სარდლობა და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, სამხედრო ნაწილის 2052-ის ჯარისკაცის

ჯიმშერ ნუგზარის ძე სამხარაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

---

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და ლექტორები თანაუგრძნობენ საზოგადოების მთავარ ბუღალტერს ნუნუ გულუას მეუღლის

ვახტანგ მამარდაშვილს

გარდაცვალების გამო.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორატი თანაუგრძნობს ნუნუ გულუას მეუღლის

ვახტანგ მამარდაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თსსუ აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კლინიკის იურიდიული სამსახურის უფროსი ქალბატონი

ნანა დათუაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო თანაუგრძნობს ქალბატონ ლალი გოჩელაშვილს დედის ქალბატონ

გოგუცა მალვას ასულ ქვარიანი-გოჩელაშვილის

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika